№ 2659
ოთხშაბათი,
3 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2659
ოთხშაბათი
3 ნოემბერი

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და სხვ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 373.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.
ყოველ დღიური გაზეთი
წელიწადი „ცნობის ფურცელი" მეათე
სურათებიანი დამატებით.
ფასი გაზეთისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: ერთის წლით 6 მანეთი.
საზღვარ გარეთ: ერთის წლით 9 მანეთი.
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.
ყოველ თვიური ჟურნალი
წელიწადი „მოამბე" მეთორმეტე
ფასი ჟურნალისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით—10 მ., ცალკე № —1 მან.
საზღვარ გარეთ: 1 წლით—13 მ., ცალკე—№ 1 მ. 20 კ.
ვინც „მოამბეს" მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი"
უფასოდ გაეგზავნება
მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.
წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.
(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)
როგორც „ცნობის ფურცლის," ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის
„დონ-კიხოტი"
დორეს სურათებით.
ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.
ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით), პრემიად დარიგებულ
ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.
1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.
ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.
პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.
გარდა ამისა „მოამბის" წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ
„მასალები საქართველოს ისტორიისათვის"
ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.
ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის" ფორმატისას.
რედაქციის კანცლარიის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სადგომში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе"-„Цнобисъ Пурцели".

ქართული წარმოდგენა. ხახანოვის თეატრი.
ოთხშაბათს, 3 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
თავ. ალ. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა
„ღალატი"
დრამა-ლეგენდა 5 მოქ., თარგ. გ. ყიფშიძისა.
ადგილების ფასები ჩვეულებრივია.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
მთავარ როლებს შეასრულებენ: ტასო აბაშიძე—გაიანე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა—იახარ, ა. კარგარეთელი—რუქაია, ნ. ჩხეიძე—ზეინაბ, ვ. ამაშიძე—ბესო, ვ. გუნია—ოთარ-ბეგ, ივანიძე—საბა ბერი, კ. ყიფიანი—ანანია გლახა, სვიმონიძე—დათო, ჩარკვიანი—ირაკლი, შალიკაშვილი—სულეიმან-ხანი და სხვ.
(3—ე—2)
მორიგი რეჟისორი ვალერიან გუნია.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რუჟეკის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—180)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
მ. ფ. მუღნინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
დ. ი. კამოევი.—საშარდესი ქირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.
დ. ი. კიმონტი.—ქირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
მკ. ქალი ე. ქ. თოხელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
მ. ა. მელიქი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.
მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
მრ. ნ. ხოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 2—3 საათამდე.
საღამოთი:
ნ. მ. ხოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი სამკურნალოში

[illegible] მორიგებით, კრავატები დღეში დირს [illegible] მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: ქუქია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (ქუქიის [illegible] იდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № [illegible] [illegible]ილის ქუჩიდან-კი 34 Б. [illegible]
ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის (№ 21) ქ. კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, №№ 32, 21, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოთ 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—ნ.—25)

ექიმი
ქ. ნ. თეთრაძე
მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. ხოდენაია, № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—23)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიული სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—14)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible]ანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 762.

ექიმი
ვ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვებს. ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—6 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—23)

ექიმი
ი. ე. გამბურგერი
გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—1)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობ[ისა]
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

1 ნოემბერი.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის უქვეშევრდომილები დეპეშები მისს უდიდებულესობას: 1) 30 ოქტომბერს: „20 ოქტომბერს გათენებისას ჩვენი რაზმი, პორუჩიკის ვოლეცკის უფროსობით, მტრის დასაზვერად წავიდა სოფელ ხუანშიცანისაკენ, რომელიც მდებარეობს ბიანიპუზის აღმოსავლეთით, 2 ვერსის მანძილზე. ამ სოფელში ჩვენებს დაჰხვდა იაპონელთა მზვერავი რაზმი, რომელიც რვა დრაგუნისაგან შესდგებოდა. ხუანშიცანის სამხრეთ-დასავლეთით, როგორც რაზმმა გაიგო, იაპონელებს ჰქონიათ ორი რიგი თხრილებისა. იაპონელებს ამ თხრილებში ერთი როტა ჰყავდათ. პორუჩიკმა ვოლეცკიმ ჯერ სროლა დაუწყო ამ როტას, მერე იერიში მიიტანა, გვერდიდან მოუარა მტერს, განდევნა იგი თხრილებიდან და თვითონ დაიჭირა. მტრის მთავარ პოზიციაზე ალიაქოთი ასტყდა და ერთი ბატალიონი საჩქაროდ გამოემართა თხრილებისკენ. ორი როტა, რომელსაც ჩვენებმა ტყვია დაუშინეს, უკანვე მიტრიალდა და თან წაიღო მოკლულნი და დაჭრილნი. ორი როტა-კი ჩვენი რაზმის მოსავლელად გაემართა. ჩვენმა რაზმმა ამის შემდეგ უკან დაიხია. ჩვენ მოგვიკლეს ერთი კაცი, დაგვიჭრეს ერთი მძიმედ და ოთხი მსუბუქად. 30 ოქტომბერს ზარბაზნების ზანტი სროლა იყო მთელ ფრონტზე. არ მოსულა მოხსენებები მტერთან შეტაკებების შესახებ".

2) 31 ოქტომბერს: „30 ოქტომბრის ღამემ წყნარად ჩაიარა. არ მოსულა მოხსენებები მტერთან შეტაკებების შესახებ".

2 ნოემბერი

ირკუტსკი. წავიდა პეტერბურგს წითელ-ჯვრის რწმუნებული თავადი ვასილჩიკოვი.

კუროპატკინის მთავარ-სადგომი („რეიტერი"). ყოველ დღე შეტაკებაა სადარაჯო რაზმებს შორის. რუსები თავის დიდ ყალიბიან და ექვს-დიუმიან ზარბაზნებით ყუმბარებს უშენენ იაპონელებს სანგრებში და მოსვენებას არ აძლევენ. მრავალი აფიცერი მოდის ზარალის შესავსებად. არმიას კარგად აქვს შეგნებული, თუ რა დიდი მოვალეობა დაეკისრა. იმას დიდი იმედი აქვს ბალტიის ფლოტისა. ჯარის გამოკვება ეხლა წინანდელზე უფრო კარგად სწარმოებს: გზები კარგ მდგომარეობაში არიან.

კოპენჰაგენი, 1 ნოემბერი. რუსის მაშველმა კრეისერმა „კუბან"-მა გაიარა დიდი ბელტი და ჩრდილოეთისაკენ გაემართა.

მოსკოვი. 1 ნოემბერს გაატარეს მოსკოვზე 20 იაპონელი სალდათი აფიცრით, კორეელები და ჩინელი ჯაშუშები. მათ შორის ერთი იაპონელი ქალია და ერთი აფიცერი ჩაძირულ გემ „იძუმზმარუ"-დან. როცა გემი იძირებოდა, ეს აფიცერი გემის ქაღალდებს სწვავდა და დაშავდა, შემდეგ ვლადივოსტოკში წამლობდა. კორეელთა შორის არის ერთი თარჯიმანი, რუსის ქვეშევრდომი, მართლმადიდებელი, გენერლის მიშჩენკოს რაზმში ნამყოფი. ჩინელთა შორისაც არის ერთი კაცი, რომელიც ომის დაწყებამდის შანჰაიგუანში თარჯიმანად იყო რკინის გზის სახელოსნოებში, ინჟინერ ბრანევსკისთან, შემდეგ კი მუკდენში მსახურებდა.

პარიჟი, 1 ნოემბერი („ჰავასი"). ნელიდოვის მეუღლემ შემდეგი დეპეშა მიიღო ადმირალ როჟესტვენსკისაგან: „ესკადრას შეუერთდა ჩინებული მცურავი საავადმყოფო „ორიოლ"-ი. 12 ათასი რუსი აღტაცებულია და ჩემთან ერთად მხურვალე მადლობას უთვლის დიდებულ საფრანგეთს".

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან".

1 ნოემბერი

ხარბინი, 1 ნოემბერი. თავად-აზნაურთა წარმომადგენელთ, არიოლის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის სტახოვიჩის მეთაურობით, მიართვეს ჩინეთის გენერალს ჯაომენს მოსკოვის თავად-აზნაურთა ადრესი და ძვირფასი ოქროს სასმისი. ამით მადლობა გამოუცხადეს ჩინელებს, რომლებმაც ორ-სართულიანი სახლი დაუთმეს რუსებს თავად-აზნაურთათვის სამკურნალოს გასამართავად. გენერალმა გულ-წრფელის სიტყვებით მადლობა გადაუხადა.

[illegible]

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი იუწყება, რუსეთის მთავრობა მოსკოვის სამხედრო ოლქში მე-13 კორპუსსა და კიევის ოლქში მე-22 კორპუსს ამზადებს საომრად და მანჯურიაში გაჰგზავნისო. („რ. ლ.").

„ნოვოსტი დნია"-ს კორესპონდენტი ბ-ნი ნ. ობ. დეპეშით იუწყება მუკდენიდან: მას აქეთ, რაც იაპონელებმა სოფ. იანსინტუნის სამხრეთით გორა დაიჭირეს, მნიშვნელოვანი ბრძოლა აღარ მომხდარა. იაპონელებს მდ. შახეს მარჯვენა მხარეს წინანდელი პოზიციები უჭირავთ: ხოუთხაის სიმაღლე, სოფ. ბანიუპუზა და შუნხაილინისა და ხეილინლინის უღელტეხილები (ეს ადგილები გენ. კუროკის არმიას უჭირავს). იაპონელები ყველგან ძლიერ გამაგრდნენ, რამდენსამე რიგად სანგრები გამართეს, უღელტეხილებზე სამ-რიგი და ზოგან ოთხ-რიგი სიმაგრეები ააშენეს, სიმაგრეების წინ ეკლიანი მავთული გააბეს, მიწაში ფუგასები (ნაღმები) ჩააწყეს. ამბობენ, ზოგ ბატარეის საალყე ზარბაზანიც აქვსო. რუსის განაპირა მარჯვენა ფრთაზე რკინის გზასა და მდ. ხუნხეს შუა (გენ. ოკუს არმიის პირდაპირ) რუსის ყაზახები ბეჯითად ჰზვერავენ იაპონელებს. პუტილოვის გორის ახლო პოზიციებზე (გენ. ნოძუს არმია დგას აქა) მუდამ დღე ზარბაზნის სროლაა. ხან და ხან ღამეცაა სროლა. თოფის სროლა იშვიათად ისმის. იაპონელები და რუსები მეტად ახლო დგანან და ერთმანერთის მოძრაობასა და მუშაობას კარგად ათვალიერებენ... ყველგან მიწურ სახლებს აშენებენ, ნათელი ცივი ამინდი დგას. ყინვა ჯერ არ დაუჭერია.

„რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: ამბობენ, ციმბირის პირველ კორპუსის უფროსი გენ. შტაკელბერგი ავად გახდაო... მუკდენში მოწინავე რაზმის უფროსი პოლკოვნიკი მადრიტოვი დაბრუნდა. (მადრიტოვის რაზმი კორეისა და აღმოსავლეთ მანჯურიაში მოქმედებდა; ზაფხულსა და შემოდგომაზე სინცინტინს ახლო იდგა). მადრიტოვი ამბობს: კორეია თითქმის ველური, გაუვალი ქვეყანაა. კორეელები მეტად ემტერებიან რუსებსაო.

„ნოვოსტი დნია"-ს კორესპონდენტი ნ. ობ. იუწყება: 29 სექტემბერს იანტაისთან ბრძოლის დროს გენ.-მაიორი ლაიმინგი ფეხში დასჭრესო.

„ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: თუ ყუმბარა ორ ფუთზე მეტს იწონის, ბომბას ეძახიან, თუ ნაკლებს და გრანატასაო.

„ნოვოსტი დნია"-ს კორესპოდენტი ბ-ნი გარინი სწერს: მუკდენში სექტემბრის დამდეგს ავსტრ-უნგრეთის სამხედრო აგენტთან გრაფ შეპტიცკისთან მომიხდა ლაპარაკი. ვკითხე: „როგორ გგონიათ, რამდენი ჯარი ჰყავთ იაპონელებს?—გრაფმა მიპასუხა: ეგ არავინ იცის, დაზვერის უწინდებური წესი ხელანდელ ომის დროს სულ არ გამოდგა. იაპონელებს ჯარის წინ სამ რიგად უყენიათ მოდარაჯე სალდათები, კავალერიამ როგორ უნდა გაატანოს ამ წრეს და როგორ უნდა გაიგოს მტრის ჯარის ამბავი? ამ წრეს ვერ გაარღვევს, ბევრი-ბევრი უკან დააწევინოს; მაინც სულ ერთია ვერ შეიტყობს, თუ რა ხდება ამ მოწინავე რაზმებს უკან, რამდენი ჯარი დგას და საითკენ მიდის. მართალია კავალერიას შეუძლიან ზურგიდან მოექცეს მტრის ჯარს, მაგრამ იმ სიშორედან უნდა მოუაროს გვერდიდან, რომ რამდენიმე კვირა და იქნება თვეც გავიდეს, ცნობა-კი დღეს, ან ხვალვე საჭირო; დაგვიანებული ცნობა გროშად აღარა ღირს. ამბობენ, იაპონელებს მშვენივრად აქვთ მოწყობილი ეს საქმეო. მზვერავებად თავიანთი კაცები და ჩინელები ჰყავთო. გამიგია, ვითომ მთელი ბიურო ჰქონდეთ დაწყობილი. რამდენსამე ჩინელ მზვერავს იაპონელები ცნობების შესაკრებად 12 მილიონ მანეთს აძლევენ, მოკლულ მზვერავების ოჯახებს დიდ პენსიას უნიშნავენო. რა არის 12 მილიონი? ორი დღის ომის ხარჯია. სახელმწიფოსათვის 12 მილიონი ისაა, რაც ჩვენთვის 1 მანეთი. მაგრამ ვინც ამ საქმეს კარგად ვერ მოაწყობს, შეიძლება მილიარდებიც დაეხარჯოს ტყუილად. როგორც კაცი უჭმელად ვერ გასძლებს, მოკვდება, ისე ჯარი უმზვერავოდ იოლად ვერ წავა.—„ხომ არ იცით, რა გზები აქვთ იაპონელებს, როგორ გადმოჰყავთ ჯარი, ან რანაირად გადმოაქვთ სურსათი"?—სწორე პასუხს ვერ მოგცემთ მაგაზე. ეხლა რაკი ინკოუ და ლიაოიანი აიღეს, რკინის გზაც იმათ ხელშია; ეხლა აღარა გაუჭირდებათ-რა. ეგაა ამბობენ, იაპონელებს რაღაცა სხვა გზაცა აქვთო. ეს გზა წინადვე მომზადებული მიაქვთ თანა და უცებ მოაწყობენ ხოლმეო. რანაირია ეს გზა, არ ვიცი. ბოლოს გრაფს უთქვამს: ტყუილად ჰგონია ზოგსა, ვითომ იაპონელებთან ვაკე ველზე ბრძოლა უფრო ადვილი იყოს, ვიდრე მთაშიო.

პორტ-არტური. „ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი პ. კ. გენ. ნოგის მოქმედებას იხილავს 21 ოქტომბრიდან 24 ოქტომბრამდე. მიმომხილველი სწერს: „ბრძოლა პორტ-არტურთან მთელის ქვეყნიერობის ყურადღებას იზიდავს. 13 ოქტომბერს იაპონელები ბეჯით მოქმედებას შეუდგნენ. 20 ოქტომბერს გამოირკვა, რომ ფორტების წინა სიმაგრეები და ტრანშეები მომეტებულ ნაწილად სულ იაპონელების ხელში გადასულიყო. ყველაზე მეტი ძალა იაპონელებმა ერლუნგშანის ფორტს (რკინის გზის ახლო, აღმოსავლეთით მდებარეობს) დაატანეს. აქ იაპონელები თითქმის ფორტის გარე თხრილს მიუახლოვდნენ. იაპონელები ამ გამარჯვებას არ დასჯერდნენ და ცოტა ხნის შემდეგ ხელ-ახლად ზარბაზანი დაუშინეს ციხეს. თუ დალნიდან მოსულ დეპეშებს დავუჯერებთ, ზარბაზნის სროლამ სამ დღეს გასტანა და შემდეგ იაპონელებმა ხელ-ახლად მიიტანეს იერიში შუნშუშანის ფორტზე (შუნშუშანი, ანუ სუნშუი რკინის გზის ახლო დასავლეთით მდებარეობს). ეს ახალი იერიში გამარჯვებით დასრულდა და იაპონელებმა აქაც, ისე როგორც ერლუნგშანთან, ფორტის წინ ტრანშეები დაიჭირეს. ეტყობა 24 ოქტომბერს შანშუშანის ფორტზე იაპონელების მარჯვენა კოლონამ მიიტანა იერიში; ამავე დროს მარცხენა კოლონა რკინის გზის აღმოსავლეთით კიკვანშანის ფორტისკენ გაემართა, კიკვანშანი, ანუ კიკუანი განაპირა ფორტია ჩრდილოეთ მხარეს. „დეილი მეილი"-ს კორესპონდენტი იუწყება: იაპონელებმა კიკუანშანის მიწის გალავანი დაიჭირეს, მაგრამ ღამე რუსებმა ჯარი მოიშველიეს, იერიში მიიტანეს და ისევ დაიბრუნეს მიწის გალავანიო. სხვა ცნობებიდან სჩანს, რომ იაპონელებს ამ დროს სხვა ფორტებზედაც მიუტანიათ იერიში და ზოგან მეტად ახლო მისულან სიმაგრეებთან. „ზოგან იაპონელების მოწინავე რაზმები 40 ფუტის სიშორეზე-ღა დგანან რუსის სიმაგრეებიდანაო",—სწერა ერთ დეპეშაში. იქნება ეს გაზვიადებულიც იყოს, მაგრამ მაინც ყური უნდა ვათხოვოთ, რომ კორესპონდენტები ბეჯითად იუწყებიან, იაპონელები მეტად ახლო მივიდნენ რუსის პოზიციებთანაო. ეხლა იაპონელები გვირაბებს გასთხრიან, ფორტის სიმაგრეებს ააფეთქებენ, თან და თან გარს შემოეხვევიან ფორტს, სხვა ფორტებისაგან განაცალკევებენ და ბოლოს შტურმს მიიტანენ. ერთის შეხედვით, ფორტის დამცველებს შეუძლიანთ ზარბაზანი დაუშინონ იერიშით მიმსვლელებს და ხელად გარეკონ, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ფორტის ზარბაზნები ძლიერ დაზიანებული იქნება, თორემ იაპონელები ისე ახლო ვერ მივიდოდნენ და ფორტის კონტრ-ესკარპზე ვერ დადგებოდნენ. „დეილი ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტი სწერს: იაპონელებმა რომ აღმოსავლეთ მხარეს ყველა ფორტი აიღონ, ქალაქი დაანგრიონ და რუსის სამხედრო გემები გაანადგურონ, გენ. სტესელი ლიაოტეშანში გამაგრდებაო. ციხის ბურჯი, აღმოსავლეთი ფორტებია. ეს ფორტები იცავენ არსენალს, დოკებს, სხვა და სხვა საწყობებს. თუ კი ყველაფერს აიღებენ რაღა დარჩება პორტ-არტურში, რაღა ციხე იქნება? რასაკვირველია, აღმოსავლეთ ფორტების დამცველთ შეუძლიანთ დიდის წვალებით ჯერ ვეფხვის კუდის ნახევარ კუნძულზე გადავიდნენ და მერე იქიდან ლიაოტეშანის მთაზე ავიდნენ, დასავლეთის ფორტების მეციხოვნე ჯარსაც შეუძლიან ლიაოტეშანის ფორტებს შეაფაროს თავი, მაგრამ ეს ციხის ბედს ვერ შესცვლის.

ჩემის აზრით, პორტ-არტურის ბედი აღმოსავლეთ ფორტებთან გადასწყდება და არა ლიაოტეშანზე. თუ იაპონელები ერთს, ან რამდენსამე უმთავრეს ფორტს აიღებენ, მერე დანარჩენ ფორტებსაც თითო თითოდ დაიჭერენ. მაშინ ფორტები ერთმანეთს ველარ გაუწევენ დახმარებას, ყველა თავის თავის დაცვას მოუნდება. რუსები ძალა უნებურად მთელ ჯარს ფორტებში ჩააყენებენ, საზოგადო რეზერვს ველარ იყოლიებენ და უფრო გაჭირვებულ ფორტს ვერ მიაშველებენ. იმეორებ, ჩემის აზრით, უმთავრესი მნიშვნელობა აღმოსავლეთ ფორტებს (ერლუნგშანს შანშუშანს, კიკვანშანს, მწყრის გორას ოქროს გორას და სხვ.) აქვთ. ეს ფორტებ, სხვა ფორტებზე ძლიერადაა გამაგრებული"...

ჩიფუდან მიღებულ კერძო დეპეშებში ეწერა: იაპონელები გაზაფხულამდე აღარ მიიტანენ პორტ-არტურზე იერიშსაო. „ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო მიმომხილველი არა სჯერა ეს ცნობა. მიმომხილველი სწერს: პორტ-არტურსა და მთელ კვანტუნის ნახევარ კუნძულს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იაპონელებისათვის. ზოგი იმ თავითვე ამტყუნებდით იაპონელებს, პორტ-არტურთან, იმოდენა ჯარი ტყუილად დააბანდესო. ორიოდე დივიზიით მარტო გზა უნდა შეეკრათ, ჯერ რუსის არმია დაემარცხებინათ და მერე პორტ-არტური აეღოთო. ეს შემცდარი აზრია. იაპონელებს რომ პორტ-არტურისათვის ალყა არ შემოერტყათ, რუსის ესკადრა დღესაც იქ იდგებოდა და როცა ბალტიის ესკადრაც შორეულ აღმოსავლეთს ჩავიდოდა, იაპონიის ფლოტი და არმია დიდ განსაცდელში ჩავარდებოდა. ადმ. ტოგოს ორ ძლიერ დაუზიანებელ ესკადრასთან მოუხდებოდა ბრძოლა. ამას გარდა მთელი კვანტუნის ნახევარ კუნძული და პორტ-არტურიც რუსების ხელში იქნებოდა, გენ. სტესელის კორპუსი იაპონელების არმიას ზურგიდან დაემუქრებოდა და სულ ერთია კარგა ჯარს დააბანდებინებდათ ციეჩოუსთან. არ მგონია, ეხლაც აიცინოს ვინმემ, რომ იაპონელების სტრატეგიული პლანი შემცდარი იყოო. ამიტომ მგონია, რომ იაპონელები გაზაფხულამდე არ მოიცდიან და ყოველნაირად ეცდებიან, პორტ-არტური, რაც-კი შეიძლება, მალე აიღონ და თავიანთი პლანი შეასრულონ, მით უმეტეს, რომ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრაც შორეულ აღმოსავლეთს გაემართა. იაპონელები მალე კიდევ მიიტანენ მედგარ იერიშს ფორტებზე და უმთავრეს ყურადღებას ისევ ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ფორტებს მიაქცევენ.

გერმანელი სამხედრო კორესპონდენტები სწერენ: იაპონელებმა პორტ-არტურთან ჩრდილოეთ ფორტების წინა სიმაგრეები სულ აიღეს და დანარჩენი სიმაგრეებიც ისე დააზიანეს ყუმბარებით, რომ ეხლა შტურმით აღება შეუძლიათო. გენ. სტესელი მაინც კიდევ კარგა ხანს გაუმაგრდება იაპონელებს, რადგან ციხის შიდა ფორტები მეტად ძლიერაა გამაგრებულიო. („რ. ლ.").

ჩიფუდან ატყობინებენ „ნოვოე ვრემია"-ს: ორშაბათს პორტ-არტურიდან ერთი ჯონკა მოვიდა ჩიფუში. გზაში იაპონელების ნაღმიანი გემი დახვედროდა და გამოტანებული წერილები სულ წაერთმიაო.

დიდ ოკეანეს მეორე ესკადრა „რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ვ. მ. სწერს: „ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა ორ დღეს შედგა ტანჟერში და მერე ისევ გზას გაუდგა. ესკადრა ორ რაზმად გაიყო; ერთი რაზმი ხმელთა შუა ზღვით წავიდა სუეცის არხისაკენ, მეორე რაზმი აფრიკას გარშემო მოუვლის. ხმელთა შუა ზღვის რაზმის წინ ორი დივიზია ნაღმიანი გემი წავიდა. ნაღმიანი გემები ალჟირს მივიდნენ, ნახშირი დაუღეს და მხოლოდ ოთხის დღის შემდეგ გაემართნენ ბიზერტასაკენ. ალბად, ნაღმიანი გემები გზაში დაზიანდნენ და ოთხ დღეს შეკეთებას მოუნდნენ, თორემ ასე რომ არ ყოფილიყო, საფრანგეთის მთავრობა 24 საათზე მეტს არ გაიჩერებდა თავის პორტებში (ალჟირი და ბიზერტა საფრანგეთს ეკუთვნის). ნაღმიან გემებს გზაში ტრანსპორტი „კიტაი", კრეისერი „სვეტლანა" და იახტა „ალმაზი" მისდევდა თანა. ამ გემებს უკან კონტრ-ადმირალ ფელკერზამის რაზმი მისდევს: ჯავშნიანი გემები „ნავარინი", „სისოი ველიკი" და „ოსლიაბია".

ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრის უმთავრესი ნაწილი კი (ჯავშნიანი გემები „ალექსანდრე III", „კნიაზ სუვოროვი", „ბოროდინო", „ორიოლი" და სხვა გემები) აფრიკას მოუვლიან გარშემო და ინდოეთის ოკეანეში პირველ რაზმს შეუერთდებიან. ხმა დადის, ვითომ რუსეთს ნებართვა აეღოს ოსმალეთისაგან და მალე შავის ზღვის ფლოტის ნაწილსაც შორეულ-აღმოსავლეთს ჰგზავნიდეს. ეს ხმა ტყუილი უნდა იყოს. ეს იქიდანაცა სჩანს, რომ შავის ზღვის ფლოტის საუკეთესო ჯავშნიანმა გემმა „კნიაზ პოტემკინ-ტავრიჩესკი"-მ ზღვაში სიარული გაათავა და სევასტოპოლში სარეზერვო გემებში ჩადგა. რუსეთი რომ შავის ზღვის ფლოტის ნაწილს შორეულ-აღმოსავლეთს ჰგზავნიდეს, რასაკვირველია, ერთად-ერთ რიგიან თანამედროვე ჯავშნიან გემს შინ არ დასტოვებდა".

„დეილი მეილ"-ის კორესპონდენტი იუწყება: რუსის მეციხოვნე ჯარს პორტ-არტურში დიდი იმედი აქვს ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის შველისა. რუსები ამბობენ: მალე ბალტიის ესკადრა მოვა და დაგვიხსნისო. („რ. ვ.").

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ავსტრ-ჰუნგრეთი. დეპეშებიდან მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტიროლის დედა-ქალაქს ინსბრუკში დიდი შეტაკებები მოხდა გერმანელებსა და იტალიელებს შორის. მოგეხსენებათ, ავსტრიაში დაუსრულებელი ბრძოლა და შეტაკებაა ერებს შორის. მიზეზი ამისა, რა თქმა უნდა, ის არის, რომ ყველა ერს თანასწორ უფლებას არ ანიჭებენ და ერთგან რომ ერთი ბრძანებლობს, მეორეგან მეორეს აქვს უპირატესობა. ისეთ შეტაკებას და სისხლის ღვრას, როგორიც 21 ოქტომბერს ინსბრუკში მოხდა, კარგა ხანია ავსტრია აღარ მოსწრებია. მიუდგომელი გაზეთები ერთხმად ამბობენ, რომ ამ სისხლის ღვრაში უმთავრესი დანაშაული მთავრობას მიუძღვისო. რამდენი ხანია ავსტრიის იტალიელები თხოულობენ, ჩვენს ქალაქს ტრიესტში საკუთარი იტალიური უნივერსიტეტი დაგვიარსეთო. მთავრობა დიდ ხანს უარს ეუბნებოდა, ბოლოს აიღო და უნივერსიტეტის ნაცვლად ინსბრუკში, სადაც უმთავრესად გერმანელები სცხოვრობენ, დააარსა იტალიელთათვის ცალკე ფაკულტეტი; ეს იწყინეს გერმანელებმა და მოხდა სისხლის ღვრა. თვით შეტაკება ასე მომხდარა. 21 ოქტომბერს საგანგებოდ შეკრებილ სტუმრების თანადასწრებით გაიხსნა ახლად დაარსებული იურიდიული ფაკულტეტი. ცერემონიამ მშვიდობიანად ჩაიარა, რადგან გერმანელი და იტალიელი სტუდენტები ერთმანეთს არ შეხვდნენ: ფაკულტეტი შორსაა უნივერსიტეტიდან, ერთ მიყრუებულ ქუჩაში. არეულობანი მხოლოდ საღამოთი დაიწყო. ასამდე იტალიელი სტუდენტი შეიკრიბა „წითელ ჯვრის" სასტუმროში ფაკულტეტის დაარსების გამო დღესასწაულისთვის. როდესაც გაიგეს ამათ, რომ გერმანელ სტუდენტის ბრბო მოდისო, შეიარაღდნენ რევოლვერებით და ქუჩაში გამოვიდნენ. მაშინვე შეტაკება მოხდა. იტალიელებმა რევოლვერის სროლა დაიწყეს და დასჭრეს ცხრა სტუდენტი. ამ ამბავმა საშინლად გააბრაზა გერმანელები. იმათი რიცხვი მალე რამდენიმე ათას კაცამდე ავიდა. ეს ამდენი ხალხი ეცა ხელად სასტუმროს, რომელსაც იტალიელებმა შეაფარეს თავი, და შეამტვრია კარები და მიდეწ მოლეწა ფანჯრები. ამ დროს მოვიდა პოლიცია, რომელმაც იტალიელნი უვნებლად დატუსაღებულად გამოაცხადა. პოლიციას უნდოდა, იტალიელნი ცოტ ცოტა პოლიციის ბიურომდე მიეყვანა და იქ დაემალა გაბრაზებულ ბრბოსაგან, მაგრამ ბრბომ გაარღვია პოლიციელთა წრე და დაუწყო საშინლად ცემა როგორც იტალიელებს, ისე პოლიციელებს. მალე ჯარიც მოვიდა. ჯარი გაგზავნა ნამესტნიკმა შვარცენაუმ, თუმცა ქალაქის მოურავმა და ჯარის უფროსმა პრინცმა ევგენიმ პროტესტი განაცხადეს. ჯარმა მოსვლისთანავე შტიკებით იერიში მიიტანა და გაჰფანტა ბრბო, ამასთან რამდენიმე კაცი დასჭრა, ხოლო ერთი — მხატვარი პეცეე — სასიკვდილოდ. გათენებამდე ჯარი ქუჩაში იყო. მეორე დღეს არეულობანი განახლდა. ბრბომ დემონსტრაციები გამართა იტალიელთა რესტორანებსა და სასტუმროების წინ, იმ ქუჩებში, სადაც იტალიელები და ახლად დაარსებულ ფაკულტეტის პროფესორები სცხოვრობენ. ბევრი სახლი აიკლეს და აწიოკეს. სრულიად მიდეწ-მოლეწეს ფაკულტეტის სადგომი. თვით შენობა ისე დააზიანეს, რომ ეხლა იგი აღარაფრისთვის აღარ გამოდგება. მანიფესტაცია მოხდა აგრეთვე ნამესტნიკის სახლის წინ, რომელსაც „მკვლელს" ეძახდნენ და ქვებს ესროდნენ. იმავე დღეს მოხდა ქალაქის საბჭოს კრება, რომელმაც დამნაშავედ კერბერის კაბინეტი იცნო და ამის შესახებ მკაცრი დეპეშაც გაუგზავნა. ნამესტნიკი ვენაში წავიდა. მეორე დღეს კიდევ განახლდა არეულობანი, მაგრამ ქალაქში დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი და ამით მშვიდობიანობა დაიცვეს. საბჭოს კრება მეორე დღესაც მოხდა. მეტად მწარე სიტყვები წარმოსთქვეს ორატორებმა. მოითხოვეს დაუყოვნებლივ, რომ გადაყენებულ იქნას ნამესტნიკი, რომელსაც „უმანკოთა მწ

ა. … გზავნ… წლიური ფული მრტო გაზ. „ცნობის ფურცლის" 6 მ. 55 კ. და „ცნობის ფურცლის" და „მოამბის" 11 მ. 55 კ. არა ჰქონდეთ შემოტანილი. ფულის შემოტანისთანავე პრემია გაეგზავნებათ.

ახალი ამბავი

◆ „ქ. შ. წ. გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობამ დაადგინა, 30 მან. აძლიოს თვეში ავადმყოფ **პოეტს აკაკი წერეთელს.**

◆ რუსეთის ზოგიერთ ქალაქების მდიდარ მექარხნე-მეფაბრიკეებს განუზრახავთ მოელაპარაკონ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს საზოგადოებასთან **ბიუროს დაარსების შესახებ.** ამ ბიურომ შუამავლობა უნდა გასწიოს სამეურნეო ნაწარმოებთა პატრონებსა და ფაბრიკანტებს შორის სყიდვა-გასყიდვის საქმეში. უმთავრესი სავაჭრო საქონელი თამბაქო და მატყლი იქნება.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უმთავრესმა სასანიტარო კომისიამ განკარგულება მოახდინა, რომ სადგურ სანაინს გაიგზავნოს ორი ვაგონი იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობაა **ხოლერით ავად გახდა ვინმე.** ერთ ვაგონში ხოლერიანს დააწვენენ, მეორე ვაგონს მოუბამენ მატარებელს იმის ნაცვლად, **რომელშიაც ხოლერიანი იქნება.**

◆ **თერგის ოლქში იარაღის ტარება** აკრძალულია. ეხლა კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსს, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ თერგის ოლქის რუსი მცხოვრებნი შეიარაღებულ იქმნენ **ხაზინის ხარჯით.**

◆ ტფილისის ქალაქის **სამხედრო ბეგრის საკრებულოში** ორშაბათს, 1 ნოემბერს, ფიცის დროს სომხის მოძღვარს ცალკე უნდა დაეფიცებინა სომეხ-გრიგორიანნი რუსულ ენაზე. სომხის მოძღვარმა ტერ-არაქელოვმა უარი განაცხადა რუსულ ენაზე დაფიცებისა, რის შესახებაც შესდგა ოქმი.

◆ დღეს, 3 ოქტომბრისთვის, სახაზინო თეატრში დანიშნულია **ქართული წარმოდგენა.** წარმოადგენენ თავ. სუმბათაშვილის დრამას „ღალატს".

◆ კავკავის რკინის გზაზე **ტელეგრაფისტებისთვის შეუმცირებიათ სამუშაო დრო.** ურიგო არ იქნება, ამ მაგალითს ამიერ-კავკასიის რკინის გზამაც მიჰბაძოს, რადგან არც ერთ მოხელეს არა აქვს იმდენი სამუშაო, რამდენიც ტელეგრაფისტს.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა აცნობა გუშინ ქალაქის გამგეობას, განკარგულება მოვახდინე, პოლიციამ თვალ ყური ადევნოს **პურისა და ხორცის ვაჭრობას,** რომ ნიხრს ზევით არავინ გაჰყიდოსო.

◆ მთავარ-მართებლის თანაშემწეობის აღმასრულებელმა, როგორც „კავკაზი" გადმოგვცემს, უმაღლესის მანიფესტის ძალით ნება მისცა **სამშობლოში დაბრუნდეს** ქალაქ არმავირში მყოფ რაჭის მაზრის სოფელ ტბეთის მცხოვრებს სპირიდონ ჩოხონელიძეს, რომელსაც აეკრძალა ამიერ-კავკასიაში ცხოვრება.

◆ როგორც „კავ."-ს დეპეშით ატყობინებენ, 31 ოქტომბერს, ღამე, ვიღაც ბოროტ-გამზრახველნი **თავს დასცემიან** ალექსანდროპოლის საფოსტო კანტორის საწყობს. შეუპყრიათ სამი კაცი.

როგორც ჯავახეთიდან გვატ… …ნ, მინდვრის თაგვებს წლევანდელი …ლი ძლიერ გაუფუჭებიათ. გაფუჭებუ… …074 დესეტინა. ზარალი 81190 მანეთისაა.

◆ ტფილისის ქალაქის სამშენებლო განყოფილების გამოანგარიშებით, **რიყესა და დეხიმონოვის მოედანზე** დიდის არხის გაყვანას დასჭირდება სულ 16,000 მან. ეს ფული რიყის მცხოვრებლებმა უნდა გაიღონ. გუშინ მცხოვრებთ საერთო თხოვნა გადასცეს გამგეობას, არხი ქალაქმა გააკეთოს და შემდეგ ფული ჩვენ გაგვაწეროს რამდენიმე წლითაო.

◆ 28 ოქტომბერს, დღისით, ტფილისის მეორე გილდის ვაჭართან მკირტიჩ აკოფჯანოვთან მისულა ერთი მუშა ავაქ-აკოფოვი და მოუთხოვნია, ლიუბლინის კანტორის წერილის თანახმად, ხუთი ბოჩკა ცემენტი. 29 ოქტომბერს მეორე მუშა მისულა და იმავე ფირმის სახელით აკოფჯანოვის მაღაზიიდან 3 ყუთი ლურსმანი წაუღია. როგორც აღმოჩნდა, ლიუბლინის კანტორას სრულებით არ უთხოვნია აღნიშნული მასალა მაღაზიის პატრონისათვის. როგორც გამოირკვა, არტემ-ტერ-საგათელოვს ეყიდნა აღნიშნული მასალა ვასილ დანდუროვისაგან, რომელმაც ყალბი წერილით მოახერხა მაღაზიიდან ლურსმნებისა და ცემენტის გამოტანა.

◆ როგორც ოფიციალურად შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, ჯულფის გზაზე 31 ოქტომბრამდე **ხოლერით ავად გამხდარა** 57 კაცი. აქედან 31 მომკვდარა, 7 მორჩენილა და 19 დღესაც ავად არის.

◆ სოხუმში ამას წინად გაუქურდნიათ გაბუნიას მაღაზია და წაუღიათ ფულად 5,600 მან. 23 ოქტომბერს გაუქურდნიათ ძმ. შენგელიას მაღაზია და წაუღიათ ფულად 20 მანეთი და საქონელი 60 მანეთისა. ქურდები ვერ დაიჭირეს.

◆ სად. დუვანი. 31 ოქტომბერს, როდესაც მატარებელი № 160 სადგურში შემოდიოდა, გადმოხტა მატარებლიდან მაჰმედ-ოღლი, ვაგონებს ქვეშ ჩავარდა და მარჯვენა ფეხი დაუშავდა. დაშავებული ბაქოს რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ სად. ყვირილა. 1 ნოემბერს, როდესაც საფოსტო მატარებელი № 4 სადგურიდან დაიძრა გამოსასვლელ ისართან ორი სახალხო ვაგონი ლიანდაგიდან გადასცდა. უბედურება არა მომხდარა-რა, ერთი ვაგონი დაშავდა, რომელიც მაშინათვე მოხსნეს და მეორე ვაგონი მიუბეს. მატარებელმა ამის გამო 2 საათს დაიგვიანა.

◆ სად. ბათუმი. 1 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათსა და 30 წუთზე, მანევრების დროს გაწყდა გადაბმული ვაგონები. ვაგონს მოსტყდა რკინის ნატეხი, რომელიც მოხვდა მეისრეს ილია შამიძეს და ძალიან დაშავა. დაშავებული ბათუმის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ პოლიციის მე-9 ნაწილში ამ რამდენიმე დღის წინად პოლკოვნიკის იაზიკოვის სახლი გაქურდა აღნია რიაბუხინის ქალმა და წაიღო მრავალი ვერცხლისა და ოქროს ნივთები და ძვირფასი ტანისამოსი. ქალი თავის საყვარელ ზაქიბეგ იუნუსოვთან ერთად ქალაქიდან გაპარულა და პეტროვსკში დედასთან წასულა. პეტროვსკში პოლიციას უკვე დაუპატიმრებია ქალი და იმის საყვარელი იუნუსოვი. ეს უკანასკნელი გამოტყდა და განაცხადა, ქურდობა მარტო მე ჩავიდინე; ზოგი ნივთები ტფილისში გავყიდეთ და ზოგი ოქრომჭედელს შეიხოვს მივყიდე პეტროვსკშიო. შეიხოვთან უნახავთ ოქროს და ვერცხლის ნივთები. ქურდები ტფილისში ჩამოიყვანეს.

◆ ტფილისის ქალაქის ლომბარდის გამგემ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგინა მომავალ წლის აღრიცხვა. მომავალს

ფელეტონი

რუსეთის ცხოვრება

რა ინტერესი აქვს დღეს რუსეთის ცხოვრებას?—საყურადღებო ფაქტები.—სიმფეროპოლის მასწავლებლები.—მ. ენგელგარდტი.—მოსკოვის ერობის თავმჯდომარე.—უფის გუბერნატორი.—ჯარის-კაცთა ცოლ-შვილი.

ქართულ ჟურნალ-გაზეთების მკითხველი, ალბად, ყურადღებას მიაქცევდა იმ ერთის მხრივ უცნაურ გარემოებას, რომ რუსეთის ცხოვრებას თითქმის სრულიად არა აქვს ადგილი ჩვენ პრესსაში. რუსეთის იმპერიაში ვცხოვრობთ, ბევრნაირად არის ჩვენი ცხოვრება დამოკიდებული იქაურ ცხოვრების მიმდინარეობისაგან და ჩვენ კი, თითქოს განზრახ, ხმას არ ვიღებთ და არას ვატყობინებთ მკითხველ საზოგადოებას. მაგრამ არც ისე დამნაშავეა ქართული პრესსა.

განა საკუთარ ჩვენ ცხოვრებაზე, ჩვენი ცხოვრების „მოვლენებზე" ბევრი იწერება ჩვენსავე გაზეთებში? ან ხანდახან თუ, მოვა ჟამის მოსახდელად, ხმას იღებენ ჩვენი მწერლები, დიდ საინტერესო რასმე წარმოადგენს ეს ხმის ამოღება? შესაძლებელია, დიდი ნიჭიერი პუბლიცისტები არ გვყავნდნენ, მაგრამ არც ისე უნიჭონი და მოუმზადებელნი არიან, რომ საინტერესო საგანი ან მოვლენა უინტერესო გახადონ.

და თუ რუსეთის ცხოვრებას თითქმის სრულიად არ ეხებოდა ჩვენი პრესსა, თუ საკუთარ ცხოვრების მოვლენათა განხილვაც იშვიათი იყო და თან უფერულიც, ამის მთავარი მიზეზი თვით ცხოვრების უფერულობა და უმოძრაობა იყო. ერთ კალაპოტში მოქცეული საზოგადოება ადგილიდან ვერ იძვროდა, გაშეშებული იყო. კითხულობდა რუსულ გაზეთებს და მთქნარებით ყურება ეტკოდა. აბა ასეთ მასალიდან რა საყურადღებო და საგულისხმიერო ფაქტები უნდა ამოეღო ჩვენს მეგაზეთეს?..

ეხლა სურათი იცვლება: ახალმა სიომ დაჰბერა, ყველა „გაზაფხულზე" მსჯელობს და ოცნებობს, ზოგი გატაცებითა და ოცნებით, ზოგიც სიბრაზითა და კბილთა ღრჭენით. რუსული პრესსა შესანიშნავად გამოცოცხლდა, მის კილოს დავაჟკაცებისა და მამაცობის ბეჭედი აზის... არ ვიცით, სხვა სიომ რომ დაჰბეროს, როგორ მოიქცევა ეხლა ასე გაბედულად მოლაპარაკე ჟურნალ-გაზეთობა — იქნება ისევ თავის ნაჭუჭში შეძვრეს, მაგრამ დღეს კი ეს მოვლენა ეჭვს გარეშეა და ჩვენც გვინდა ვისარგებლოთ იმითი:

საყურადღებო ფაქტები კი ცოტა არ არის. დასამტკიცებლად აიღეთ მარტო ერთი ნომერი „რუსკია ვედომოსტი"-სა, თუნდ მე-300-ე.

ქ. სიმფეროპოლში არსებობს მასწავლებელთა საზოგადოება. საზოგადო კრების დადგენილების თანახმად, საზოგადოების გამგეობამ აღძრა სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე შემდეგი შუამდგომლობა: ა) გამოიცვალოს წესი საჯარო ლექციების წაკითხვის ნებართვისა, ბ) მიეცეს უფლება საზოგადოების წევრობისა ყველას, ვისაც მასწავლებლობის უფლება აქვს მიღებული, და გ) უფლება ჰქონდეს საზოგადოებას იურიდიული დახმარება[1] გაუწიოს თავის წევრებს.

ამ შუამდგომლობაზე მზრუნველისაგან ჩვეულებრივი პასუხი მოვიდა: არც ერთი ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება არ შეიძლება, საზოგადოება გამოდის წესდების საზღვრებიდან, ასეთი მოქმედება კანონის წინააღმდეგია, მეორეთ ნუ გაბედავთ ასეთ შუამდგომლობის აღძვრას, წესდება რომ შეცვალოთ, საიმედო ელემენტებს არ მიიღებთ, სამაგიეროთ არა კეთილსაიმედოთ მფარველობას გაუწევთ, იურიდიულ დახმარების უფლება გაგრყვნით და დავიდარაბას შეგაჩვევთ და სხვა.

მასწავლებელი პატარა კაცია, მასწავლებლების საზოგადოება ვერ წარმოადგენს დიდ ძალას, და ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ პასუხის შემდეგ ხმას გაიკმენდდნენ და განაგრძობდნენ მორჩილად ყოფნას. მაგრამ დახეთ დროს! უღონო მასწავლებლიც-კი წელში გაიმართა და საზოგადოებამ თავის თავმჯდომარის პირით შემდეგი პასუხი გასცა ოლქის მზრუნველს.

„საზოგადოებამ რომ შუამდგომლობა აღძრა, იგი არ სთვლიდა მას უკანონოდ და თუ ოლქის მზრუნველი სხვა შეხედულებისაა, საზოგადოებისათვის არსებითად საინტერესოა იცოდეს, რომელ კანონებს ეწინააღმდეგება ხსენებული შუამდგომლობა...

რაც შეეხება მზრუნველის აზრს, რომ საზოგადოება, იურიდიულ დახმარების მოწყობით, განავითარებს მასწავლებლებ შორის დავიდარაბის სიყვარულს, პატივისცემა იმ საზოგადოებისადმი, რომლის თავმჯდომარეობის ღირსი გამხადეს, ხელს მიშლის პასუხი გავსცე ამგვარ ბრალდებას".

დასასრულ თავმჯდომარე აცხადებს „ღრმა მწუხარებას იმის გამო, რომ მასწავლებელთა საზოგადოებას მოსდის საერთო განათლების უწყების წარმომადგენელთაგან საზოგადოების შეურაცხმყოფელი ქაღალდები, დაწერილები ისეთის კილოთი, რომელიც სრულიად არ არის მიღებული ოფიციალურ მიწერ-მოწერაში".

⁂

ვიმეორებ, მასწავლებელი ძალიან პატარა კაცია და ეს პატარა კაცი თუ ჰბედავს საჯაროდ დაიცვას თავისი უფლება, ერობა და საქალაქო თვითმმართველობა ხომ უფრო მოწოდებულია ამ საქმისათვის. ეგრეც არის.

დღეს მთელის რუსეთის საზოგადოებას ერობაზე და საქალაქო თვითმმართველობაზე აქვს მიქცეული ყურადღება და საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ დიდი უმრავლესობა თვითმმართველობის წარმომადგენელთა ღირსეულად ამართლებს საზოგადოების მოლოდინს. მართალია, აქა-იქ ისმის სულ-მოკლე კილოც და გასაკვირველიც არ არის—სიყრმიდან სიბნელეს შეჩვეული ერთბაშად სინათლეს ვერ გადაიტანს და შიშით კანკალებს. ასეთ პირს გამბედაობა და გაბედული კილო არ მოეთხოვება. ამათგან ხშირად ისმის ხოლმე—„ვუჩვენოთ, ვისაც ჯერ არს, რომ შეგვიძლია თავის დაჭერა, წესიერების დაცვა, ტაქტით მოქცევა" (ხმოსანი ნიჟნი-ნოვგოროდის ერობისა), მაგრამ კარგა ის არის, რომ ეს შეშინებული პირები აქვე თავიანთ ამხანაგებისაგან იღებენ ღირსეულ პასუხს—„გაჩუმება ტაქტი არ არის, არამედ სიმხდალე, მოვალეობა გვაწევს და უნდა ავასრულოთ: „შვილებს ნუ ვაკისრებთ იმას, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ" და ამიტომ გულახდილად, მტკიცედ უნდა გამოვსთქვათ ჩვენი აზრი და შეხედულობა.

ნამდვილ გულ-ახდილსა და მტკიცე გამოთქმას აზრისას იშვიათად შეხვდება კაცი ეხლაც. მაგრამ შედარება მაინც არ შეიძლება სულ ახლო წარსულისა და ეხლანდელ მომენტისა.

„მართალია პეტერბურგელი „დვორნიკები" კი არ არიან გაზაფხულის შემქმნელნი, სწერს მ. ენგელგარდტი „პეტ. ვედ."-ში (294): გაზაფხული მაშინ „კეთდება", როცა ბუნება იღვიძებს, ნაკადულები ხმაურობენ და ჩხრიალებენ, როცა ახალი ცხოვრება შეუჩერებლად ათასობით ამოხეთქს ხოლმე ნიადაგიდან და არ ეშინია არც შემთხვევით სიცივისა, არც მგლის ღმუილის, არც ყვავის ჩხავილისა და არც ქარ-ბუქის მესამედ დაბრუნებისა".

არც ეს არის პირდაპირი ენა და თქმა, აქაც, იმავ ავტორისა არ იყოს, თუ ძველი სრული სიჩუმე არ არის, სამაგიეროდ მხოლოდ გადაკვრით ან იგავით თქმაა. მაგრამ განა დამუნჯებასთან შედარებით ეს მოგება, პლიუსი არ არის?

⁂

პლიუსია აგრეთვე მოსკოვის საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარის გაბედული ლაპარაკი.

საგლეხო კანონმდებლობის გადასასინჯად დანიშნულ საგუბერნიო თათბირზე გუბერნატორმა აუხსნა საბჭოს წევრებს ამ თათბირის დანიშნულება. გუბერნატორის შემდეგ ულაპარაკნია ხსენებულ თავმჯდომარეს, გვარად გოლოვინს.

„1903 წლის 26 თებერვლის მანიფესტში ნაბრძანებია, რომ საგლეხო კანონმდებლობის გადასინჯვა მოხდეს საგუბერნიო საბჭოებში და რომ ამ საბჭოების წევრებად უნდა იყვნენ, სხვათა შორის, ღირსეული პირები, საზოგადოების ნდობით მოსილნი. თანახმად ამ განზრახვისა 1904 წლის 8 იანვრის უმაღლეს ბრძანებაში ნათქვამია, რომ ერობის წარმომადგენლებს იწვევს გუბერნატორი ერობის ხმოსანთაგან, თითო-თითო მაზრიდან. ვინ უნდა იყოს საზოგადოების ნდობით მოსილი საგლეხო დებულების გადასასინჯად? ვფიქრობ, მხოლოდ ისინი, ვისაც საგანგებოდ ამისათვის აირჩევს საერობო კრება. მართალია, ყოველი ხმოსანი მოსილია საზოგადოების ნდობით ხმოსნის მოვალეობათა ასრულებისათვის"... საგლეხო დებულების გადასინჯვა-კი არ შედიოდა ამ მოვალეობათა რიცხვში და ამიტომ ყოველი ხმოსანი ვერ ჩაითვლება „საზოგადოების ნდობით მოსილად" ამ ძნელ საქმისათვის. „ამ გვარად მე (გოლოვინი) ის დასკვნა გამომყავს, რომ ეხლანდელ საბჭოს შედგენილობა არ შეეფერება სავსებით მანიფესტის განზრახვას, სახელდობრ იგი არ შეიცავს ისეთ პირთ, რომელნიც საგლეხო დებულების გადასინჯვის საქმეში მოსილნი იყვნენ საზოგადოების ნდობით: აქ არიან ან სასამსახურო მდგომარეობის გამო ან და ადმინისტრაციის ნდობა-მოსილობით. საბჭოს ასეთი შემადგენელი ნაწილები ვერ არის გარანტია იმ გავლენისა, რომელიც საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ამ საქმის მიმდინარეობაზე"...

იქნება მკითხველმა გულუბრყვილო ოპტიმისტად მიგვიჩნიოს და გვითხრას, რომ ერთი და ორი მერცხალი გაზაფხულს ვერ „მოიყვანსო", მაგრამ ჯერ ერთი, რომ ამისთანა მერცხლები ბევრია, რუსეთში და მეორედ—ისევ ორი მერცხალი სჯობს სულ არარაობას, მესამეც ჩვენ დაწყებისთანავე ვსთქვით, რომ „ვინ იცის როგორ მოიქცევიან

---

[1] დახმარება იმ შემთხვევებში, როცა ისეთ დაბალ ლონეს, როგორც სოფლის მასწავლებელია, სასამართლოში აქვს საქმე.

წელს ლომბარდი შემოსავალს მოელის 39,8 ხარჯი ნაანგარიშევია 28,195 მან. 58 კაპ.

◆ გენერალ-მაიორს ჩერდინცევს 1 ნოემ პენსია აუღია ხაზინაში და 210 მან. პალტოს ჯიბეში ჩაუდვია. გენერალი რაღაც საქმისათვის შესულა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში და როცა უკან გამობრუნებულა, უნახავს, რომ ჯიბიდან ამოეცალათ ფული. რადგან კანტორის სადგომში დიდძალი ხალხი იდგა, გენერალმა ეჭვი ვერავიზედ ვერ განაცხადა.

◆ 31 ოქტომბერს, პოლიციის მე-7 ნაწილში, ნაშუადღევის 2 საათზე, სიღნაღის მაზრის მცხოვრები ნიკ. ხარამოვი წაეჩხუბა მოქალაქეს სარქის შახნაზაროვს და ხელში დაჰკრა დანით. შახნაზაროვს წაეშველა ძმა რუბენ შახნაზაროვი და ხარამოვი თავში დასჭრა რაღაც იარაღით. დაჭრილები ორივენი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆ ვერის ხიდის მოიჯარადრემ აცნობა გუშინ ქალაქის გამგეობას, ხიდის შეკეთების დაწყების გამო ისე შესწყდა მიმოსვლა, რომ ძალიან ზარალში ჩავვარდიო. იჯარადარი სთხოვს გამგეობას სულ დაიკეტოს ხიდი, ვიდრე დასრულდება შეკეთება, იმ პირობით-კი, რომ იგი გადასახადისაგან გაანთავისუფლონ და უსახელო საზოგადოებამ იმის სასარგებლოდ დღე-ღამეში 20 მან. იხადოს.

ტფილისის ქალაქის საქმეები

1 ნოემბერი

ქალაქის მოურავის მოადგილემ წარუდგინა საბჭოს მოხსენება ახლად დაგებულ ქუჩების სტკეპნ მანქანის შესახებ. ეს მანქანა ქალაქის ინჟინერ აგაჯანოვს წაუღია და თავის საკუთარ ქარხნის წინ ქალაქ გარედ ქუჩა უტკეპნია. როგორც ამ მოხსენებიდანა სჩანს, ქალაქს თავისუფალი თანხა არა ჰქონია ქუჩის გასატკეპნად, ამიტომ ეს საქმე აგაჯანოვს მოიჯარადრეთათვის მიუნდვია, რომელთაც გზა-ტკეპნილი გაუჩენიათ და აგაჯანოვსაც დიდ ცოდვად არ ჩაუთვლია სხვის ე. ი. ქალაქის, ნივთის თხოვება. ამ საქციელში,—სთქვა ქალაქის მოურავის მოადგილემ,—ვერაფერს ვხედავ გასაკიცხს, როგორც მოიქცა ხმოსანი ხუდადოვი, რომელმაც წინანდელ სხდომაზე უკიჟინა აგაჯანოვს და ინჟინერ ხმოსნისთვის არა საკადრისი სიტყვები წარმოსთქვა. ამიტომ ვსთხოვ ხუდადოვს თავის სიტყვები აგაჯანოვზე უკანვე წაიღოსო. ხუდადოვმა განაცხადა, მე თქვენის მოხსენებიდან სრულიადაც არ დავრწმუნებულვარ, რომ აგაჯანოვმა სხვის და არა თავის სასარგებლოდ იხმარა სატკეპნი, რადგან ამ ქუჩაზე არავინ არა ცხოვრობს. მაშასადამე, ჯერ იქ უნდა გატკეპნოთ ქუჩები, სადაც ხალხი ცხოვრობს და მერე იმნაირ მიყრუებულ ქუჩაზე, სადაც აგაჯანოვის ქარხანაა. ჩვენ ძლიერ ფრთხილად და წინდახედვით უნდა ვიქცეოდეთ, რომ არავინ გვიკიჟინოს, აი ქალაქის ნივთს კერძო საქმეზე ხმარობენო. ხმოსნებს, როგორც ეტყობა, არ უნდათ ამ საგანზე ბაასი. ბოლოს ქალაქის მოურავის მოადგილე ხელ ახლა შეეკითხა ხმოსანს: მითხარით გადაჭრით, წაიღებთ თქვენი სიტყვები უკან თუ არაო. ხმ. ხუდადოვმა უპასუხა: რადგან თქვენ სთვლით სრულიად სამართლიანად აგაჯანოვის საქციელს, მიმაქვს ჩემი სიტყვები უკან, მხოლოდ მე კი არ შემიძლიან ეს საქციელი სამართლიანად ჩავთვალოო.

შემდეგ საბჭოს მოხსენდა პასუხი უსახელო საზოგადოებისა ახალ ლიანდაგების დაგების შესახებ ჩუღურეთსა და ავლაბარში. ეს პასუხი ჯერ ერთი იმითია შესანიშნავი, რომ გამგეობას სრული ექვსი თვის შემდეგ მიუღია შეკითხვის დღიდან, და მეორე გაუგებლობით. ამისათვის ხმოსანნი დიდ საგონებელში ჩავარდნენ, რადგან გარდა უსახელო საზოგადოებისა, საბჭოს სახეში ჰყავდა სხვა კონცესიონერებიც, რომელნიც ეხვეწებიან, ჩვენ დაგვითმეთ ეგ საქმეო, მაგალითად, ალიბეგოვი-ყორღანოვი და ინჟინერი ბასტამოვი. გამგეობას თავისი აზრი არ გამოუთქვამს ჯერ ამ საგანზე, ამიტომ საბჭოში ხმოსანთა შორის აზრთა სხვა-და-სხვაობა ჩამოვარდა. ტიგრანოვმა და ხატისოვმა წინადადება მისცეს გამგეობას, ხელ-ახლა განიხილოს ეს საკითხი და წარმოუდგინოს მოხსენება საბჭოს. ენფიაჯიანცი კომისიაში გადაცემას [illegible] ყორ- [illegible] ეტე- [illegible] რისა იყო, რომ უსახელო საზოგადოებ[illegible] კვლივე მოლაპარაკება მოესპო, რადგან იმისი პასუხი უარის პასუხია და არა თანხმობისა. ხმოსანმა ალიხანოვმაც ეს პასუხი უარის ნიშნად იცნო და დასამტკიცებლად წაუკითხა კიდეც თვით ქაღალდი უსახელო საზოგადოებისა, საიდანაც აღმოჩნდა, რომ ამ საზოგადოებას იმ სამი ახალ გზიდან, რომელიც გამგეობამ უჩვენა, ხელ საყრელად მიაჩნია მხოლოდ პირველი გზა, ე. ი. პანასევიჩის და განჩარნის ქუჩებზე. ამისათვის ერთხმად იქმნა დადგენილ, უსახელო საზოგადოების პასუხი იქმნას ცნობილი როგორც უარი ამ ახალ გზების აღებაზე, და შეეკითხნენ ახლა ყორღანოვს და ალიბეგოვს ამ საქმის შესახებ.

ცხარე კამათი გამოიწვია აგრეთვე ქალაქის გამგეობის დადგენილებამ. ამ დადგენილების ძალით ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას ნება ეძლევა ქალაქის ადგილზე ნავთლუღში, ნავთის მილი გაიყვანოს. რკინის გზის მმართველობა უმტკიცებს, რომ ეს ნაჭერი მიწისა სხვა ნაჭრებთან ერთად 1901 წელს უმაღლესად ნაბოძებიაო. ხმოსან მირზოევმა ამ დადგენილების შესახებ იქ დამსწრეთ დაანახვა პლანზე დახატული ჯერ ის ნაჭერი მიწისა, ზომით 50 დესეტინა, რომელნიც 1901 წ. უმაღლესის ბრძანებით გადაეცა ამიერ-კავკასიის რკინის გზას, და მერე ის ნაჭერი, რომელსაც ამ ჟამად ითვისებს რკინის გზა. ჯერ იმ ნაჭრის დაკარგვა,—სთქვა მირზოევმა,—მიმაჩნია მეტად საზარალოდ ქალაქისთვის, რადგან ზედ სხვა-და სხვა საწყობები გვქონდა გამართული, საიდანაც ქალაქს ხეირი ეძლეოდა, ეხლა თავის ხარჯების შესამცირებლად ამ მილს ისეთ მიმართულებას აძლევენ, რომ ჩვენთვის საზარალოა. ამისათვის თუ ეხლავ არ გადიტანენ ამ მილებს ქალაქის მიწიდან, ან არ გადიხდიან 2 მანეთს თითო საჟენზე, ეხლავე უნდა აუკრძალოთ მუშაობაო. ხმოსანმა ალიხანოვმა განაცხადა, უნდა შევურიგდეთ გამგეობის დადგენილებას და საქმის გამორკვევამდის არ შევუშალოთ მუშაობა და გადავახდევინოთ 2 მანეთი საჟენზედაო. ამაზე ხმოსანმა ბარათაშვილმა უპასუხა, გამორკვევა და ვადის დანიშვნა ჩვენი მხრივ მეტია; დეე იმათ თვითონ დაგვიმტკიცონ, რომ მიწა მათია და მაშინ დავეთმობთ, თუ არა და 2 მანეთი კი არა, იქნებ 2 კაპეიკადაც არ დაათვასონ თითონ საქმე რომ ეგრე დავაყენოთო. ხმ. ჩოლოყაშვილმა ხმოსნები გააფრთხილა და უთხრა, საბჭოს აქვს ნება თუ არა, რომ გამგეობას დაავალოს მუშაობის აკრძალვა, მერე იმ მუშაობისა, რომელიც საქვეყნო მნიშვნელობისაა. ამაზე ხმოსანმა ტიგრანოვმა უპასუხა, არამც თუ საბჭოს, კერძო პირსაც კი აქვს ნება თავის საკუთრების წართმევის დროს ხმა ამოიღოსო. საბჭომ დაადგინა: ნება დართოს რკინის გზის გამგეობას მუშაობის გაგრძელებისა იმ პირობით, თუ იგი გადიხდის თითო საჟენზე ორ მანეთს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აეკრძალოს მუშაობა.

დასასრულ საბჭომ განიხილა რამდენიმე წვრილი საქმე: თხოვნა გამგეობის ყოფილ მდივნის ვ. ლ. ვეიმანის მეუღლისა შეწევის აღმოჩენის შესახებ. საბჭომ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება, რომლითაც უარი გამოეცხადა. მთხოვნელს დაამტკიცა აგრეთვე დადგენილებანი კომისიისა ცხენების გადასახადის შესახებ, და გამგეობის დადგენილებანა მცირე შემოსავლიან მამულებისა, რომელიც სხვა-და-სხვა პირთ ეკუთვნის. საბჭომვე ამ დღეს შესცვალა ნიხრი ცხვრის ხორცისა და 11 კაპეიკის მაგიერ 10 კაპიკი გახადა.

პრესსა

ძველ დროში ჩინეთმა ერთხელ ომი გამოუცხადა მეზობელ ხალხს და მთავრობამ ჩინეთის დიდებულ ფილოსოფოსს კონფუცის რჩევა ჰკითხა. ფილოსოფოსმა უპასუხა: მეზობელ ხალხს თქვენ ძალით ვერ დაიმორჩილებთ. გაიყვანეთ ჩვენსა და მათ ქვეყანას შუა კარგი გზები, გახსენით კარგი სასწავ- [illegible] ჩილებიან, თვითონ მოელ[illegible] გასანთლებლად, ჰკუის სასწავლადო. ეს ჭეშმარიტება გაახსენდება კაცს, როცა გაითვალისწინებს რუსეთში მალორუსების მდგომარეობას, მათ წინააღმდეგ მიმართულ ასსიმილიაციის, ძალად გარუსების პოლიტიკას. აქ თვალ-ცხადად დაინახავს კაცი, რომ ძალადობა ბოლოს და ბოლოს წინაღმდეგობას, პროტესტს იწვევს ხალხში. ამ საკითხს ეხება „ნიჟეგ. ლისტ." მალორუსთა მდგომარეობის განხილვის დროს და ამბობს:

> მალოროსიის მწერლობას იმ დროს, როცა ცხოვრობდნენ შევჩენკო, კატლიარევსკი, ოსნოვიანენკო, კულიში, მარკო-ვოვჩოკი,—ცნობილი მალოროსიული მწერლები, მთავრობა ეჭვის თვალით უყურებდა მალოროსებს, რუსეთისაგან განდგომის ლტოლვილებას, სეპარატიზმს სწამებდა და სხვა-და-სხვა ზომებს მიმართა ამ მხრივ მალოროსთა „ასალაგმავად". მალოროსთა მწერლობის მოსპობა შეუძლებელი იყო, რადგან ეს მღელვარებას გამოიწვევდა ხალხში. ნება დართეს გამოეცათ მალოროსიულ მწერალთა ნაწარმოები, მხოლოდ გამოცემებში უნდა დაეცვათ რუსული მართლ-წერა. სრულებით აკრძალეს მხატვრულ ნაწარმოებთა თარგმნა მალოროსიულ ენაზე: ვისაც სურს, რუსულ ენაზე წაიკითხოსო. აკრძალეს მალოროსიულ ენაზე დაბადებისა და სახარების თარგმნა, პოპულიარული, ხალხისათვის ადვილ-გასაგების ენით დაწერილ წიგნაკების გამოცემა: მაგალითად ხოლერისა და სხვა სნეულებათა შესახებ. აკრძალეს სკოლებში მალოროსიული ლაპარაკი და გაუგებარ სიტყვების მალოროსიულად განმარტება. ბევრს ეცადნენ მალოროსები, რათა ნება მიეცათ მათთვის საკუთარი თეატრი გაეხსნათ. ბოლოს მოიპოვეს ნებართვა, მხოლოდ ერთის პირობით: ცალკე მალოროსიულ პიესების დადგმა აკრძალული იყო. მალოროსიულ პიესასთან ერთად რუსული პიესაც უნდა დაედგათ: ამნაირად იმ „საწამლავს", რომელსაც მალოროსიულ ენას ეძახიან, აღარ ექნებოდა იმდენი ძალა, რადგან იმავე საღამოს მაყურებელთა სხეულში ჩაწვეთილი „რუსული ენა" წინააღმდეგობას გაუწევდა. ერთი სიტყვით, რასაც მალოროსიული პიესა შეკერავდა, იმას რუსული პიესა დაჰხრიდა, იმის მიუხედავად, გაიგებდა ხალხი ამ რუსულ პიესასა და ენას თუ არა.

მერე რა შედეგი მოჰყვა ხალხისა და მისი ენის ამგვარ დევნა-შევიწროვებას? რუსეთში ფრთა-შეკვეცილი მალოროსიული მწერლობა საზღვარ-გარეთ, გალიციასა და ამერიკაში განვითარდა და რუსეთისაკენაც გაიკვლია სხვა-და-სხვანაირი გზები. მშვიდობიანი ხალხი, რომელიც რუსეთისაგან განდგომის სურვილით არ იყო გატაცებული და მხოლოდ თავისი ენის განვითარება, თავისი მწერლობის შექმნა უნდოდა, ძალად გადაიმტერა მთავრობამ, მათ შორის უკმაყოფილება დასთესა, გული ატკინა, მოიმდურა ხალხი. ამგვარმა ზომებმა, ხალხის ძალად შევიწროვებამ ძალადვე შექმნა სეპარატიზმი, განდგომის სურვილი.

ხელოვნურად გარუსების წადილი,—ბოლოს ამბობს გაზეთი,—მოგვაგონებს სალტიკოვ-შჩედრინის გმირს, უგრიუმ-ბურჩეევს („ქალაქ გლუპოვის ისტორია"), რომელმაც მდინარის შეყენება მოისურვა. უნაყოფო წადილი იყო. მდინარე მხოლოდ მაშინ გახდება ხოლმე საშიშარი, როცა გზაზე რაიმე დაბრკოლებას წააწყდება, ისე კი სარგებლობის მეტი არაფერი მოაქვს. ხალხის განვითარების, პროგრესის მდინარების შეყენებაც შეუძლებელია, ამ პროგრესისა, რომელიც თვითეულ ხალხს მთელ კაცობრიობას აკავშირებს.

სკალკოვსკიმ აღნიშნა „ნოვ. ვრ."-ში ის გარემოება, რომ ორი თვეც არ გასულა პლევეს სიკვდილის შემდეგ და იგი თითქმის ყველამ დაივიწყა პეტერბურგში.

ორი დღე გავიდა მინისტრის სიპიაგინის მოკვლის შემდეგ და შინაგან საქმეთა მინისტრად პლევე დაინიშნა. მძიმე დრო იყო. ყველას დიდი უკმაყოფილება ემჩნეოდა. რუსეთის შინაგანი მდგომარეობა შეურყეველი იყო. ხალხი გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. სამრეწველო კრიზისმა კიდევ უფრო გაამწვავა საქმე. მოსწავლე ახალგაზრდობა მღელვარებდა: უნივერსიტეტებში განუწყვეტელი უწესობა იყო. სარევოლიუციო პროპაგანდამ ფრთა შეისხა. გახშირდა პოლიტიკურ ხასიათის მკვლელობანი და მთავრობის წინააღმდეგი დემონსტრაციები. ქარხნის მუშები და გლეხები მღელვარებდნენ. ამ დროს რუსეთის შინაგან გამგეობის სათავეში დადგა განსვენებული მინისტრი პლევე, მთავრობის სრული ნდობით მოსილი. იგი დიდებულ კაცად მიაჩნდა მთავრობას, მისგან ხსნას ელოდა, პლევეს კი დიდებულ კაცის მხოლოდ ზედა პირი ჰქონდა გადაკრული. თვითონ პლევემ გამოაცხადა, რომ მთავრობა მხოლოდ მაშინ მოიპოვებს ძალას, როცა ხალხის თანაგრძნობას მოიპოვებსო, და პირველად თვითონ გადაუხვია ამ გზას. რასაკვირველია, იმისი გავლენით შედგენილი 1903 წ. 25 თებერვლის მანიფესტი ახალს არაფერს ჰპირდებოდა ხალხს, ძველი წესის განგრძობას მოასწავებდა. ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ხალხის განვითარება საკუთარ დამოუკიდებელ გზას დაადგა, კანონმდებლობას გაუსწრო, სულ სხვა მიზნისკენ მიისწრაფვის.

იმ შემთხვევაში, თუ სხვა სით დაჰბერავს"—მეთქი და სხვა...

⁂

არა, საოპტიმისტო მასალა ჯერ კიდევ ცოტაა, ისე ცოტა, რომ, მგონი, თვით ნეტარ ხსენებული დოქტორი პანგლოსიც-კი დაჰკარგავდა თავის ჩვეულებრივ მუდმივ და მარწმუნე ნდობას ამა ქვეყნის სიმშვენიერისა და ჰარმონიისადმი...

ვოლგას გაზეთები აღნიშნავენ თურმე უფის გუბერნიის ერობათა გაჭირვებულ მდგომარეობას:

„გასულ წელს უფის გუბერნატორმა მოითხოვა, რომ სასტიკად ასრულებულ ყოფილიყო საერობო დებულების ის მუხლი, რომლის ძალით გუბერნატორის ნებართვაა საჭირო ერობის მოსამსახურე პირთა მოწვევისათვის. უფის გუბერნატორის აზრით, მისი თანხმობაა საჭირო არა მარტო მუდმივ მოსამსახურეთა დანიშვნისათვის, არამედ ისეთ პირების მოწვევისთვის-კი, რომელნიც მხოლოდ დროებით ასრულებენ რაიმე განსაზღვრულ საქმეს. ამ გვარად გუბერნატორის ნებართვა შეიქნა საჭირო იმ მუშების მოსაწვევად, რომელთაც მინდვრის თაგვი უნდა გაჟლიტონ. „და მინდვრის თაგვების წინააღმდეგ ნებართვის ქაღალდით უნდა წავსულიყავითო"-ო, სწერს „ვოლგარი". („ნოვ. დნია" № 7688).

⁂

ქ. ელისავეტპოლის ბოქაულის კანცელარიაში შემდეგი სცენა უნახავს ერთ გაზეთის კორესპონდენტს.

სათადარიგო ჯარის-კაცების რვა ცოლი სთხოვდნენ ბოქაულს, გვასწავლეთ, როგორ და ვისგან უნდა მივიღოთ შემწეობა, რადგან შვილებიანად შიმშილით ვიხოცებითო. გამოკითხვიდან აღმოჩნდა, რომ ამ ქალებს მიუმართავთ რამდენჯერმე ვოლოსტისთვისაც, საერობო გამგეობისაც და სამხედრო უფროსის სამმართველოსთვისაც, მაგრამ ვერას გამხდარან. ერთის დაწესებულებიდან მეორეში აგდებენ, მეორეში სრულიადაც არ უშვებენ. და დადის ეს მშიერი ხალხი (ზოგს ძუძუ-მწოვარა ბავშვი ჰყავს თან) ერთი ადგილიდან მეორეში და ვერსად ვერ პოულობენ ვერც დახმარებასა და ვერც დარიგებას. ამ ქალების სიტყვით, ვოლოსტის სამმართველოში დასცინოდნენ კიდეც მათ და უადგილო ოხუნჯობის ნებას აძლევდნენ თავიანთ თავს. ელისავეტპოლის პოლიცმეისტერმა სხვა ვერა გაწყო რა გარდა იმისა, რომ თავის უფროსს შეატყობინა ეს ამბავი და, ალბად, გუბერნატორიც გაიგებს.

„მოსკოვსკია ვედომოსტი"-ს რომ ჰკითხო, ნამდვილ მამულიშვილურ გრძნობით არის გამსჭვალული მთელი ბიუროკრატია და ეხლანდელ ომის მიმდინარეობაში ბრალი მხოლოდ იაპონიის მოკავშირე ლიბერალებს ედება. ზემოდ მოყვანილი ფაქტი კარგი ნიმუშია ხსენებულ მამულიშვილობისა: ქმრები შორეულ აღმოსავლეთში თავგანწირვით იბრძვიან და სისხლს ღვრიან და მათი ცოლ-შვილი-კი კარ-კარ დადის სამათხოვროდ და შემწეობისა და დახმარების მაგიერ დაცინვასა და ოხუნჯობა-დაზღანდარობას ხვდებიან.

ამის ნამდვილი დიდი მამულიშვილები არიან და ისინი-კი, ვინც დასტირის ცხოვრების სიდუხჭირეს, გულისტკივილით ამჟღავნებს [illegible], მოღალატეა და იაპონიის მოკავშირე! ასეთია ლოღიკა სიბნელის მოტრფიალეთა.

ჯერ ბურთი და მოედანი ამათ ხელშია, ჯერ კიდევ თავისუფლად ნავარდობენ და ფარფაშობენ ვრცელ რუსეთის იმპერიაში.

რამდენად ძლიერნი არიან ეს სიბნელის მოტრფიალენი, რამდენად გამოაცალა მათ ნიადაგი ცხოვრების შეუბრალებელმა მიმდინარეობამ, ამას ძალიან მალე დავინახავთ.

სასამართლო

I

სარატოვის საქმე

სენატს, როგორც „ნოვოსტი" სწერს, გადაეცა განსახილველად საინტერესო საქმე სარატოვის ქალაქის გამგეობის წევრის ტიტულიარნი სოვეტნიკის ალექსეი მილაშევსკისა. მილაშევსკი 39 წლის კაცია და იმისი საქმე ამას წინად განუხილავს სარატოვის სამოსამართლო პალატას როგორც საბრალმდებლო ოქმიდანა სჩანს, მილაშევსკის ჰბრალდებოდა: 1) ის, რომ 1902 წელს იგი წევრად იყო ეგრედ წოდებულ „სოციალისტ-რევოლიუციონერთა დასისა", მავნე საზოგადოებისა, რომელსაც აზრადა აქვს რუსეთის იმპერიაში მართვა-გამგეობის გამოცვლა, რისთვისაც იგი ძალმომრეობასაც-კი არ ერიდება, და 2) თავის აზრის განსახორციელებლად 1902 წელს ქალაქ სარატოვში მილაშევსკი ადგენდა და ავრცელებდა თხზულებებს, მოწოდებებს და სურათებს და ყველა ამით ხალხს აღელვებდა მთავრობის წინააღმდეგ; ამასთან მილაშევსკიმ თავის სახლში მოაწყო საიდუმლო ადგილი თხზულებების და მოწოდებების საბეჭდავად, შეიძინა მიმეოგრაფი და ყველა ამ აკრძალულ ლიტერატურას თავის სახლში ინახავდა. სამოსამართლო პალატამ განიხილა ეს საქმე, გასინჯა მილაშევსკის სახლში ნაპოვნი წიგნაკები, პროკლამაციები, მოწოდებანი, ხელთნაწერები და სხვა ნივთები და სცნო, რომ 1902 წელს არსებობდა ბოროტ-განმზრახველთა წრე „სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის" სახელით. ამ წრეს მიზნადა ჰქონდა რუსეთის იმპერიაში მთავარ-გამგეობის გამოცვლა. ამ წრის არსებობას მოწმობს აგრეთვე ბეჭედი, რომელიც იპოვნეს სახლის გაჩხრეკის დროს. ბეჭედზე ამოჭრილია: „სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია". სარატოვის სამოსამართლო პალატამ, მილაშევსკის საწყობში ნაპოვნ ქაღალდების' პროკლამაციების და საბუთების ძალით, გამოარკვია, რომ აღნიშნული „სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია" არა მარტო ადგენდა და ავრცელებდა პროკლამაციებს და მოწოდებებს: ამავე პარტიამ გამართა 1902 წელს 5 მაისს სარატოვში დემონსტრაცია, ხოლო შემდეგ ჩაიდინა ორი ტერორიული საქმე: მოჰკლა შინაგან საქმეთა მინისტრი სიპიაგინი და განიზრახა მოკვლა ხარკოვის გუბერნატორის თავ. ობოლენსკისა. პალატის აზრით მილაშევსკის დანაშაულობას ზემო აღნიშნულს გარდა ამტკიცებს შემდეგი: მილაშევსკის სახლის გაჩხრეკის დროს, ცალკე ფლიგელში ჰნახეს საიდუმლო საწყობი. საწყობში გზა სამზარეულოდან მიდიოდა. ჩასასვლელი იატაკიდან ჰქონდა, მაგრამ კარები ისე მოხერხებით იყო, რომ ძნელად შეამჩნევდა კაცი. ამ კარებს ქვემოდ კიბე იყო, რომელიც სულ ძირს ბნელ სარდაფში ჩადიოდა. სარდაფში კედელზე ორი თარო იყო გაკეთებული, რომელზედაც მურაბის ქილები ეწყო. აკრძალულ პროკლამაციების საწყობი ერთ თაროს უკან იყო გამართული, ღრმად კედელში. გამონგრეულ კედელში დიდი ყუთი იყო და ამ ყუთში ელაგა წიგნები და წიგნაკები. ყუთი სიმძიმით ხუთ ფუთზე მეტი იქნებოდა.

ბრალდებულმა მილაშევსკიმ სამოსამართლო პალატაში თავისი თავი დამნაშავედ არა სცნო და განაცხადა, ბალმაშოვის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრის სიპიაგინის მოკვლის შემდეგ ძალიან დამაინტერესა სარევოლიუციო მოძრაობის ისტორიამ რუსეთში, ამიტომ მომდიოდა (ვისგან, არა სთქვა ბრალდებულმა) აკრძალული წიგნაკები, ხოლო რათა არავის გაეგო ეს ამბავი, გავმართე საიდუმლო საწყობი, სადაც ვინახავდი ყველაფერსაო. პალატამ არ შეიწყნარა ბრალდებულის განცხადება. იმის აზრით, მილაშევსკიმ საწყობი გამართა აკრძალულ ლიტერატურის გასავრცელებლად. ამას მოწმობს: მრავალი დაბეჭდილი, ჰექტოგრაფით დამზადებული და ხელით დაწერილი ნაწარმოები, ლექსად და პროზად, სოციალ-რევოლიუციონერ და სოციალ-დემოკრატიულ შინაარსისა. იყო ამ საწყობში წიგნები, წიგნაკები, პროკლამაციები, მოწოდებანი და სხვ. აგრეთვე პორტრეტები და ფოტოგრაფიული სურათები სოციალისტთა მწერლებისა და რუსეთის სახელმწიფო დამნაშავეებისა, სამი სპილენძის ბეჭედი სარევოლიუციო დასისა. საწყობში აღმოჩნდა ამას გარდა მიმეოგრაფი თავის მოწყობილებით, პასპორტები და სხვა. საწყობში აღმოჩნდა ყველა ამას გარდა დიდძალი შესახვევი ნივთები. ამ ნივთებში შეხვეული ყოფილა უკვე წაღებული და ხალხში გავრცელებული წიგნაკები და პროკლამაციები. 1902 წელს 22 აგვისტოს მინსკში ერთ სახლის გაჩხრეკის დროს იპოვნეს წერილი შემდეგის შინაარსისა: „ყველაფერი კარგად და სწრაფად გავაკეთეთ. წიგნები იქ დაწყვეთ. გამოგვიგზავნეთ ხუთი სრულიად სუფთა წიგნი. პასუხი მალე გამოგზავნეთ. გთხოვთ, გადაწყვიტოთ საქმე". წერილის ბოლოში ნათქვამია: „კიევში აცნობეთ, რომ ჩქარა გამოგზავნონ შრიფტი 4 ფუთი ციცერო და 1 ასო მთავრული. გამოგზავნეთ „პობედას" საგენტოს სახელზე. კვიტანციები გამოგზავნეთ სარატოვში, ქალაქის გამგეობაში, ხალხის სიფხიზლის სამზრუნველოს კომიტეტში". სარატოვში ამ კომიტეტის საქმეებს განაგებდა ბრალდებული მილაშევსკი და ყველა წერილს ისა ხსნიდა.

ყველა ამის გამო სარატოვის სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო მილაშევსკი და გადაუწყვიტა, ყოვლისავე უფლების ჩამორთმევა და ექვსის წლით კატორღაში გაგზავნა. ბრალდებული არ დაკმაყოფილდა ამ განაჩენს და საქმე სენატში გადავიდა („ნოვოსტი", № 298).

II

შეურაცხყოფა

1901 წელს ალექსანდრე აბხაზაროვი ტფილისის საარტისტო საზოგადოების თეატრში წარმოდგენაზე ყოფილა. თან ჰყოლია თავისი შვილები პირველ გიმნაზიის მოსწავლენი. პირველ მოქმედების გათავების შემდეგ აბხაზაროვის შვილებთან მისულა გიმნაზიის აღმზრდელის თანაშემწე აკიმ ეგოროვი და უთქვამს ბავშვებისათვის, ნუ იცელქებითო. ეს შეუნიშნავს მამას ბავშვებისას და უკითხავს ეგოროვისათვის, რა უფლებით ჩაუხართ მაგასაო. შეჰკოლიან ლაპარაკს და საქმე იქამდის მისულა, რომ მელიქ-აბხაზაროვს „სუკინ-სინიც" მიუძახნია. იქვე ოქმი შეუდგენიათ და აბხაზაროვი პასუხის გებაში მიუციათ. ოლქის სასამართლოს აბხაზაროვისათვის გადაუწყვეტია 7 დღით პოლიციაში დაპატიმრება. პალატამ გუშინ, 2 ნოემბერს, დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

III

ძმის მოკვლა

1903 წელს თიონეთის მაზრის სოფ. ალაჯანში გაყოფილან ძმანი სოლომონ, თედორე და თომა მჭედლიაშვილები. განაყოფობით უკმაყოფილო დარჩენილა სოლომონ მჭედლიაშვილი. 1903 წელს 23 ივნისს ნიკოლოზ ღვინიაშვილსა და ალექსი ბაველაშვილთან ერთად თომა ტყეში წასულა. ტყეში ერთს ადგილს თომა მჭედლიაშვილი დაწოლილა და დაუძინია, ხოლო მისი ამხანაგები კამეჩების მოსაძებნად წასულან. გაუგონიათ თოფის ხმა და როცა მოსულან, თომა სისხლის მორევში უნახავთ. თომასთვის ვიღაც ბოროტ-მოქმედს გულში ტყვია დაუცლია და გაქცეულა. ბაველაშვილისა და ღვინიაშვილისათვის დაჭრილს თომას გაუმხელია, ჩემმა ძმამ, სოლომონ მჭედლიაშვილმა დამჭრაო. თომა სახლში ჩამოიყვანეს, მაგრამ მეორე დღესვე გარდაიცვალა. სოლომონი პასუხის გებაში მიეცათ როგორც ძმის მკვლელი. ოლქის სასამართლოს სესიას ეს საქმე გაურჩევია თიონეთში, დამნაშავედ უცვნია სოლომონი და გადაუწყვეტია იმისთვის ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორღაში 12 წლით გაგზავნა. ბრალდებულს საქმე პალატაში გადაუტანია, გუშინ, 2 ნოემბერს, გაირჩა ეს საქმე. პალატამ დამნაშავედ იცნო სოლომონ მჭედლიაშვილი და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

VI

ხვალ, 4 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე დუშეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის მალაქია ცხვედაძისა, რომელსაც სახელმწიფო ფულის გაფლანგვა ჰბრალდება.

რუსეთის ქრონიკა

◆ მოგილევის გუბერნიიდან სწერენ გაზ. „ს.-პეტ. ვედ."-ს, რომ ამას წინად იქ ებრაელებზე თავდასხმას, სხვათა შორის, იმ გარემოებამ შეუწყო ხელი, რომ ადგილობრივი მთავრობა უწესოდ ექცეოდა მრავლად თავმოყრილ სათადარიგო ჯარის კაცებს: დროზედ საჭმელი არ მიაწოდა, თბილი სადგომი არ მიუჩინა, გაამწარა და აალელვა ხალხი. ორი ათასი ახლად გაწვეული სათადარიგო ჯარის კაცი ყაზარმის ეზოში შეჰკრიბეს, სადაც მშიერ-მწყურვალ ხალხს ცივი ქარი უბერავდა. ერთად ერთი თავისუფალი გზა მათთვის—სახაზინო არაყის დუქნებთან იყო; ბლომად იყიდეს არაყი, დათვრნენ და ჯავრი საბრალო ებრაელებზე ამოიყარესო. საზარელი თავდასხმა არ მოხდებოდა, სათადარიგო ჯარის კაცთ რომ გულმტკივნეული პატრონი აღმოჩენოდათო.

◆ საერო განათლების სამინისტრომ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ პირველ-დაწყებითი სასწავლებლებს ბევრი უფროსი ჰყავს, ერთ გარკვეულ გამგეობას მოკლებულია და ოლქის მზრუნველებს მიმართა შეკითხვით ამ საქმის განწესრიგების შესახებ.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგა საკითხის განხილვას კვირა-უქმე დღეებში სავალდებულო დასვენების შესახებ და ხელოსანთა სხვა-და-სხვა საზოგადოებებისაგან თხოვნა მოსდის, უნდა მიანიჭოთ ყველას მუშაობის თავისუფლება, თორემ აკრძალვა სხვა-და-სხვა ნაირ მიხვეულ-მოხვეულ გზებს გააჩენს კანონის ავლების მსურველთათვისო.

◆ 27 ოქტომბერს პირველად დადგეს პეტერბურგში სასცენოდ გადაკეთებული ტოლსტოის რომანი „აღდგომა". ხალხი ბლომად დაესწრო წარმოდგენას და ძლიერის ტაშის ცემით დააჯილდოვა არტისტები. პიესის შემდგენელს თავის მხრივ არაფერი არ მიუმატებია, მარტო ტოლსტოის რომანით უსარგებლნია. ამ გარემოებამ მეტი ღირსება შესძინა პიესას.

◆ 25 ოქტომბერს მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის საბჭომ განიხილა საკითხი მოსკოვში საქალებო სამკურნალო კურსების გახსნის შესახებ და დაადგინა, სრული თანაგრძნობა გამოუცხადოს ამ საქმის მოთავეთ და შეძლებისა-დაგვარად ხელი შეუწყოს ამ განზრახვის განხორციელებას.

◆ გამოანგარიშებულია, რომ სამგზავრო მატარებლების შემცირებულმა ტარიფმა სასურველი ნაყოფი არ გამოიღო, ამიტომ ფინანსთა სამინისტრომ საჭიროდ სცნო ამ ტარიფის გადიდება. მესამე კლასის ბილეთების ფასს ზომიერად გაადიდებენ. მეორე კლასის ბილეთის ფასი დღეს მესამე კლასისის $1^1/_2$ ბილეთის ფასს უდრის; ეხლა კი საჭიროდ იცნეს მესამე კლასისის ბილეთის ორ-კეც ფასად აქციონ. პირველ კლასის ბილეთზე კი მესამე კლასის სამ-კეცი ფასი იქნება დაწესებული.

◆ რადგან სამკურნალო აკადემიაში და უნივერსიტეტების სამკურნალო ფაკულტეტებზე ექიმები ჰიგიენურ და სანიტარულ ცოდნას საკმაოდ ვერ იძენენ, აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას საჰიგიენო და სასანიტარო განსაკუთრებული ინსტიტუტი პეტერბურგში.

წერილები

ქ. თელავი. 29 ოქტომბერს თელავის სამაზრო სამხედრო საკრებულომ გაათავა წელს ჯარში გასაწვევ ყმაწვილ კაცთა კენჭის ყრა და მიღება. თელავის მაზრას სამ ნაწილად უყარეს კენჭი; პირველ-წინანდლის ნახევარ საბოქაულოდან გაწვეული იყო 246 კაცი. ამათგან მიიღეს 83. მეორე წინანდლის მეორე ნახევრიდან და ქ. თელავიდან 289 კაცი, უნდა წაეყვანათ 93, მიიღეს 91. მესამე ყვარლის

საბოქაულოდან—259 კაცი, მიიღეს 79. მთელ მაზრიდან გაწვეული იყო 794 1) ახალგაზრდა, უნდა მიეღოთ 255, მაგრამ 253 ყმაწვილი მიიღეს, რადგან მეორე ნაწილში ორი კაცი დააკლდა. ჯარის კაცად გაწვეულნი 7 ნოემბერს უნდა გამოცხადდნენ თელავის მაზრის სამხედრო უფროსთან. ჯარის კაცთა გასაწვევ სიებს გაზაფხულზედვე ადგენენ სოფლის მიერ ამორჩეული კაცნი, რომლის შემდეგაც აცხადებენ სოფლის ყრილობაზე და მხოლოდ შემდეგ ჰგზავნიან სამხედრო საკრებულოში. ასე რომ ყველა ჩაწერილმა ან იმისმა მშობლებმა უნდა იცოდნენ ესა და თუ რაიმე შეღავათი ექნება ან საჭირო ცნობები არ იქნება ჩაწერილი, შეუძლიანთ გაასწორებინონ და ჩაამატებინონ. ამისთვის დრო აქვთ თვით კენჭის ამოღებამდის. მაგრამ სოფლის მცხოვრებნი თავის დროზე ყურადღებას არ აძლევენ და სწორედ მაშინ გაიღვიძებენ, როცა კენჭის ამოსაღებათ მიჰყავთ იმათი შვილები. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ დაბადების ამოწერა ან სოფლის საზოგადოების განაჩენი სრულებით გაანთავისუფლებს სალდათობიდან, მაგრამ მისი წარდგენა არ შეუძლიანთ. განაჩენს ვეღარ ასწრობენ და დაბადების ამოწერასაც მღვდელი არ აძლევს, რადგან ძველი ნისიები (კოდის პური და სხვა) იქნება მაზე და ამის გამო ბევრს შეღავათი ეკარგება. მიიღებენ ჯარის-კაცად გლეხის შვილს და შემდეგ საჩივრებს აწერინებეს, მერე როგორ ძვირადა ღირს სალდათობის შესახებ თხოვნის დაწერა, 10—15 მანეთად და მეტად. ხუთ მანეთიანი არ ივარგებს, თუმნიანი გიშველისო, ეთქვათ ერთისთვის, მეორესთვის ერთის თხოვნის დაწერაში ორი თუმანი ეთხოვათ. გაჭირვებულ კაცს სწამს მისი სიტყვები, იღებს ვალს, აძლევს იმ ქაღალდის დაწერაში, რომელიც მომეტებულ ნაწილად ვერარაფერსა ჰშველის, ასე სხვისა გაჭირვებით ბევრი ითბობს ხელს და თავის დაუდევნელობით და უფრო უცოდინლობით ჩვენი ბეჩავი სოფლელი ხარჯსა და ვალში ვარდება.

თელაველებს ერთი ჩვეულება სჭირთ. წყალ-დიდობა იქნება, დაიწყებენ ლაპარაკს და ჩივილს, ცეცხლის გაჩენა იქნება, მაშინ ხომ ჰკიცხავენ: თვით მმართველობა არაფერ ღონეს არ ჰღონობს ასეთ შემთხვევისათვის, არაფერს აკეთებს, არაფერზე ზრუნავს, პოლიცია ამ შემთხვევაში საჭირო განკარგულებას არ იძლევა, წყლის მზიდავი ბოჭკები მარჯვეთ არ არის, ჯარი საშველათ იგვიანებს, ერთ დღეს, რომ თელავი გადაიწვას ცეცხლთან საბრძოლველად არავითარი სახსარი არ არის და სხვაო. შეიძლება ყველა ეს მართალი იყოს, მაგრამ გავა რამდენიმე დღე, ყველას ავიწყდება და ხმასაც არავინ ამოიღებს და არ მოიგონებს, ვიდრე ასეთი უბედურება არ განმეორდება. 31 ოქტომბერს აქაურ სასამართლოს შენობას გაუჩნდა ცეცხლი. დაუწყეს ზარებს რეკა. რადგან კვირა იყო, ხალხი გვიან მიხვდა, მაინც კარგა ხალხი შეიყარა, მაგრამ ხელცარიელი რას გააკეთებდა. წყალი არ იყო. ჯერ ვედროებით მოჰქონდათ, მერე ძლივ-ძლივობით ბოჭკებიც მოიტანეს. ადგილობრივი ადმინისტრაციაც გამოცხადდა. ხალხმა სასამართლოს საქმეები გარედ გადმოყარა და სხვა ოთახების ცლაც დაიწყეს, რადგან ეგონათ მთელ შენობას მოედებაო, მაგრამ ცეცხლი მალე ჩააქრეს. როგორც ეტყობა, ცეცხლი განზრახ ბოროტ-მოქმედისაგან არის გაჩენილი სარდაფიდან, სადაც არხივია, რადგან იატაკს ქვეშიდან ეკიდა იმ განყოფილებაში, სადაც სისხლის სამართლის საქმეები ირჩევა. იატაკის ერთი ნაწილი დაიწვა. საქმეები გადაარჩინეს. კიდევ კარგი, მალე გაეგოთ და მიეშველნენ, თორემ რომ გაძლიერებულიყო, ადვილად შეიძლებოდა მთელი შენობა საქმეებიანად გადამწვარიყო.

დიმიტრაშვილი.

ქ. ფოთი. ქურდობა და ავკაცობა ჩვენს ქალაქში დღითი-დღე მატულობს. თვე ნახევარი იქნება, რაც ფოთში საოცარი ამბები ხდება. სექტემბრის დამლევს ქურდებმა დუბინსკის სადგომიდან, სხვა რომ ვერა იპოვნეს-რა, წაიღეს ავეჯეულობა: საკერავი მაშინა, სამოვარი, ტანსაცმელი და სხვ. ქურდების ვინაობა ჯერაც არ გამოურკვევიათ. სექტემბერშივე ერთ მუშას მთელი თვის ნამუშევარი (25 მანეთი) ერთად აელო და მიჰქონდა სახლში. ეს რომ გაიგეს აქაურმა ბაზრის ჯიბგირებმა, დაჰხვდნენ გზაში; უნდოდათ წაერთმიათ ფული, მაგრამ მუშამ ამოიღო დანა და ერთ მათგანს უთავაზა მუცელში; ჯიბგირმა ხელათ იყვირა: „მოვკვდი კაცი"-ო და წაიქცა იქვე. სხვებმა ვეღარ მიბედეს. მუშამ გაქცევით უშველა თავს, მეორე დღეს ეს დაჭრილი ჯიბგირი დაატუსაღა პოლიციამ, მაგრამ იმის ამხანაგების ვინაობა ჯერაც არ იციან. ერთს საღამოს მიხეილის ქუჩაზედ გაისმა საზარელი ყვირილი. გავირბინეთ და ვნახეთ, რომ ერთი მოხუცი მათხოვარი ყვიროდა და ამბობდა, ვიღაც კაცმა ხუთი მანეთის ხურდა მომთხოვა; ამოვიღე თუ არა ჯიბიდან ფულიანი ქისა, გამომგლიჯა ხელიდან და გაიქცაო. ერთ ყმაწვილ კაცს საღამოს 8 საათზე დაჰხვდა გზაში ორი კაცი და, რადგან ფული ვერ უნახეს, გაჰხადეს პალტო და წაიღეს. 24 სექტემბერს ნაბადას გზაზედ დაჰხვდა დილიჟანს ოთხი შეიარაღებული კაცი. დილიჟანში იჯდა ადგილობრივ ბოქაულის მოადგილე, მღვდელი და სხვანი; სამი ბოროტ-მოქმედი ბერდანებით დაუდგა წინ დილიჟანს, ერთი შევიდა შიგ და ჩამოართვა, თუკი ვინმეს რამე ჰქონდა: ბოქაულის მოადგილეს წაართვეს 200 მანეთი სახაზინო ფული და ლეკური, მღვდელს 60 მანეთი ფული და ჯვარი. თავზარ დაცემული მღვდელი შეევედრა: „ჯვარს მაინც ნუ წამართმევთ, თქვენთვის არაფერი საჭიროა"-ო, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს. ყველა ეს სექტემბერში მოხდა.

ზ. კ—ძე

წერილი რედაქციის მიმართ

თქვენს პატივცემულს გაზეთში (№№ 2,658) მოთავსებულა, რომ ვითომ ტფილისის საზადოსნო სასწავლებელში კურს დასრულებულს ბ. ნოე გელაძეს მოემართოს ჩემთვის და ეთხოვოს ბ. დ. ზ. სარაჯიშვილის სტიპენდია და მე უარი მეთქვას. მე არ მახსოვს ეს შემთხვევა. იქნება მიმმართა ბ. გელაძემ, მაგრამ მე თავის დღეში უარს არ ვეტყოდი იმისათვის, რომ გურული ყოფილა ბ. გელაძე. სათაკილოა მაგვარის ჭორის მოგონება და გაზეთშიაც გამოცხადება. ბ. გელაძეს უარს ვეტყოდი იმისთვის კი არა, რომ გურული ბრძანებულა, არამედ იმისათვის, რომ იმ ჟამად ვაკანსია არ იქნებოდა და კიდევაც რომ ყოფილიყო, მაინც სტიპენდია არ შეხვდებოდა ბ. გელაძეს, რადგანაც მაღალ სასწავლებლებში შემსვლელნი ბევრნი არიან და დ. ზ. სარაჯიშვილი უმეტესად მათ ეწევა.—საზოგადოდ ბ. სარაჯიშვილის სტიპენდიების განმანაწილებელი გამგე კომიტეტი უნიშნავს სტიპენდიებს და აძლევს დროებითი დახმარებას ყველას მაღალ სასწავლებელში შემსვლელს ქართველს განურჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა და სადაურობისა. აი, ამისათვის ბ. სარაჯიშვილის სტიპენდიანტებთა შორის ნახავთ: ქართლელს, კახელს, იმერელს, გურულს, მეგრელს—ერთის სიტყვით საქართველოს ყველა კუთხიდან. ამ წელიწადს ვაკანსიების რიცხვი მცირე იყო, მაგრამ მაინც შეხვდათ სტიპენდიები სხვათა შორის ივ. პ. გობეჩიას (პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტია), თ. სვიმონ აბაშიძეს—(კიევის უნივერსიტეტის სტუდენტია) და ვ. არლიშვილს (სწავლობს ახენში). ამას გარდა დროებითი დახმარება აღმოუჩინათ: ბ. რამიშვილს—სწავლობს ბერლინში (110 მან.)—ლ. ლომთათიძეს სწავლობს ხარკოვის უნივერსიტეტში. ყველა ესენი, თუ არა ყველები, დასავლეთ საქართველოდან არიან და უფრო გურიიდან. მე აქ არ ვასახელებ იმ ყმაწვილ ვაჟთა და ქალთა, რომელნიც დასავლეთ საქართველოდან არიან და სარაჯიშვილის ხარჯზე იზრდებიან რამდენიმე წელიწადია. ერთი მათგანი ქალი გურიიდანაც არის.

ნ. ცხვედაძე.

---

1) ამ რიცხვში ის პირნიც არიან, რომელთაც შარშან ერთი წლით ვადა მისცეს შესამოწმებლათ.

* * *

დღის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან."

2 ნოემბერი.

ჩიფუ, 1 ნოემბერი. აქაური უცხოელები ამბობენ: „თუ გსურთ დალნიდან მოსული იაპონელი აფიცერი გაახაროთ, პორტ-არტურის ამბავი ჰკითხეთო. საკმაოა ჰკითხოთ, რომ კეთილი მოსაუბრე გადიმტეროთ. პორტ-არტურის უკანასკნელ შტურმის შემდეგ იაპონელებმა შეიგნეს, რომ ციხეს გაზაფხულამდის ვერ აიღებენ. ჩინელთა ცნობებით, იაპონელებს სულ დაუჭრეს და მოუკლეს პორტ-არტურსა და ჩრდილოეთ მანჯურიაში 200 ათას კაცზე მეტი. ადგილობრივი იაპონელები ცუდ გუნებაზე არიან, რადგან ასეთ ხანგრძლივ ომს არ მოელოდნენ. იაპონელებს ეხლაც არ სჯერათ, რომ ბალტიის ესკადრა მიაღწევს შორეულ აღმოსავლეთს. იაპონიის მთავრობა კი, როგორც სჩანს, სხვანაირად ფიქრობს, თორემ არ გაგზავნიდა სამხრეთში განსაკუთრებულ მინდობილებათა საზღვაო აგენტს მორის.

იოკოგამასა, დალნისა და ნიუ-ჩუანში სპეცი-ბანკის განყოფილებანი აღარ ახურდავებენ ვერცხლის ფულზე სამხედრო საჭიროებისათვის გამოცემულ საბანკო ბილეთებს. უკანასკნელთა კურსი თან და თან მცირდება; დღეს 62, 11 და 16-ად ჰყიდულობენ.

ჩანსიამუტუნი, 1 ნოემბერი. დიდი შეტაკება არ მომხდარა. ყოველ დღე მცირე შეტაკებაა მოხალისეთა შორის და თოფის სროლა მთელ ფრონტზე. მარცხენა ფრთაზე სიწყნარეა. სალდათებმა კარგად დაისვენეს უკანასკნელ ძნელ ბრძოლისა და მძიმე ლაშქრობის შემდეგ. ცენტრში და მუკდენის სამხრეთ-აღმოსავლეთით სიწყნარეა. პუტილოვის გორას იაპონელები აღარ უშენენ ზარბაზნებს. ამ გორის პირდაპირ დვუგორბაია გორაზე მტერი ძლიერ სიმაგრეებს აშენებს. აქ ყოველ დღე შეტაკებაა რუს-იაპონელ მზვერავთა შორის. იაპონელები სპილენძის ტყვიებს ხმარობენ. მარჯვენა ფრთაზე ყოველ დღე ზარბაზნების სროლაა. გუშინ განსაკუთრებით ძლიერი სროლა იყო. დღეს სიწყნარეა, ცივა, ჰყინავს.

ადესსა, 1 ნოემბერი. მოვიდა მანჯურიის მესამე არმიის უფროსი ბარონი კაულბარსი. ამ კვირის დამლევს ბარონი კაულბარსი შორეულ აღმოსავლეთს წავა. ბარონი წინდაწინვე მოემზადა.

ბერლინი, 1 ნოემბერი. საქმის მცოდნე თანამშრომელმა სთქვა, რომ იაპონელები ეხლავე ემზადებიან ბალტიის ფლოტის დასახვედრადაო. იაპონელები სუეცის არხშივე ეცდებიან შეიპყრონ ნახშირის ტრანსპორტები. ყოველ შემთხვევაში შესაძლებელია ამ ცოტა ხანში შეტაკება მოხდესო. „ლოკალ ანცაიგერის" ცნობებით, კოპენჰაგენში მიელიან რუსის დამატებით ესკადრას, რომელშიაც იქნება 2 კრეისერი, 5 ნაღმიანი გემი და 6 ტრანსპორტი.

პარიჟი, 1 ნოემბერი. იაპონიის საელჩოს არავითარი ცნობა არ მიუღია გენერალ კუროკის სიკვდილის შესახებ და ამიტომ ეს ამბავი ტყუილი ჰგონია. „ტან"-ის ცნობებით, კოპენჰაგენში ხმა არის, რომ იაპონელები ეცდებიან დაეცნენ რუსის ესკადრის უკანასკნელ ნაწილს დანიის სრუტეებში გავლის დროს. გაზეთი ამბობს, რუსის მთავრობამ დაიქ [illegible] ულნიც ზღვა- ათვალიერებსო.

პეტერბურგი, 2 ნოემბერი. ნაბრძანებია ციმბირის საპაეროსტატო როტა ბატალიონად გადაკეთდეს. სახელად დაერქმევა აღმოსავლეთ-ციმბირის საპაეროსტატო ბატალიონი.

პეტერბურგი. 2 ნოემბერი. დაინიშნენ—სოოლქო კვარტირმეისტერი ვარშავის სამხედრო ოლქის შტაბის გენერალ-მაიორი მარტსონი მანჯურიის მესამე არმიის შტაბის უფროსად და წარდგენილ იქმნა გენერალ-ლეიტენანტად. თურქესტანის პირველ საარმიო კორპუსის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი სლუჩევსკი—მთავარ-სარდლის განკარგულებაში; ნიკოლოზის აკადემიის პროფესორი გენერალ-მაიორი ალექსეევი—მანჯურიის მესამე არმიის გენერალ-კვარტირმეისტრად.

ტოკიო, 1 ნოემბერი. „სტანდარდ"-ი იუწყება, რომ ამ მოკლე ხანში სეულ-ფუზანის რკინის გზას ფუზანსა და სიმონოსეკის შუა იაპონიის რკინის გზას შეუერთებენ ორთქმავალ ნავების საშუალებითო. მაშინ სეულსა და ტოკიოს შუა მხოლოდ ორი დღის სავალი გზა იქნება.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

2 ნოემბერი

რომი. პაპამ მწუხარება გამოსთქვა შორეულ აღმოსავლეთში ომის შესახებ და სთქვა, ღმერთს ვევედრები, რომ ჩქარა მოეღოს ბოლოო.

ლონდონი. იაპონიის ექვს-პროცენტიანი სესხის საქმე უზრუნველ-ყოფილად ითვლება.

დაქიაგუ, („რეიტერი"). 1 ნოემბერს სკრიდლოვმა ნახა ბარონი მეიენდორფი და ჩაათვალიერა პირველი კორპუსის ქვეითა ჯარი. პოზიციებზე სრული სიწყნარეა. მოწყენილობაც არის იმის გამო, რომ ზარბაზნების ხმა არ ისმის.

ლონდონი, 2 ნოემბერი („რეიტერი"). „რეიტერის სააგენტო"-ს კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება, რომ 17 ოქტომბერს იაპონელებმა პორტ-არტურთან საერთო იერიში მიიტანეს აღმოსავლეთით მდებარე სიმაგრეებზე და მთავარი ფორტების თხრილებამდის მიაღწიეს. ეს თხრილები უფრო ღრმა და განიერები გამოდგა, ვიდრე იაპონელები ფიქრობდნენ. აგრეთვე ფორტებიც უფრო მაგარი აღმოჩნდა. მაღაროებში გამწვავებული ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა დაიჭირეს ნაღმიანი გალლერეა, ცზინგუანშანიდან ჩრდილოეთით. რუსებს ჯერ კიდევ უჭირავთ სიმაგრის ერთი წინა ნაწილი. იაპონელებს თხრილები გაჰყავთ, რომ რუსები განდევნონ. იაპონელების ზარალი 1500 კაცია.

მუკდენი, 1 ნოემბერი. პოზიციებზე უწინდებურად სიწყნარეა. ზარბაზნების სროლა შეწყდა. გუშინ საღამოს იაპონელებმა ბევრი ახალი ზარბაზანი დადგეს. სკრიდლოვი პოზიციიდან მუკდენს დაბრუნდა.

ათინა. მეფე დაბრუნდა.

ბელგრადი. პარაკლისის შემდეგ მოხდა სკუპშჩინის კრება. არჩეულ იქმნა თავმჯდომარედ სტანოევიჩი და თავმჯდომარის ამხანაგებად ნიკოლიჩი და პეტრონიევიჩი. ოთხშაბათს მეფე საერთო კრებას სეფე სიტყვით გახსნის.

ერივანი. ქალაქის მთავარს ქუჩაზე, აუარებელ ხალხის თვალწინ ორმა ბოროტ-მოქმედმა ხანჯლით მოჰკლა ადგილობრივი კომერსანტი ედილხანი და იმისი ცოლი. ერთი ავაზაკი დაიჭირეს. იგი სომეხია.

2 ოქტომბერი

ბადენბადენი. ქალაქის საბჭოს დადგენილებით შილლერის ქუჩაზე ერთ სახლს ფიცარს მიაკრავენ შემდეგის წარწერით; „ამ სახლში სცხოვრობდა ტურგენევი 1863-დან 1868 წლამდე".

ხარკოვი. საერო განათლების მინისტრმა დაათვალიერა სასწავლებლები. ელიან, რომ მინისტრის მოსვლის შედეგი—ერთი ახალი რეალური სასწავლებლის გახსნა იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 29 ოქტომბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე „	46,0
პარიზისაზე „	37,52½
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	91⅞ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89½
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	415¾
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	318
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	265¾
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—

მიმოსვლა რკ [illegible] ლეისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს.(10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვედომოროვის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლღას ქუჩაზე, სახლი № 1
   ღია არის დილით 1 —2 საათ.
   „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო. მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი.

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტერიანისა. გამგე ექიმი მირაქოვი.-

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქ-უმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი [illegible]ლიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიასი

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგანი, ნერვების, სახირურგიო-დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, შინაბინელთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

უთაისის ქალაქის გამგეობა

[illegible] აცხადებს, რომ 16 ნოემბერს 1904 [illegible] გამგეობის თანადასწრებით დანიშნულია საჯარო ვაჭრობა განუმეორებლად. ამ ვაჭრობაზე იჯარით გაიცემა გადასახადის მოკრება ქუთაისის ქალაქის ხიდებზე. ვადა იჯარისა 1905 წლის პირველ იანვრიდან 1907 წლის პირველ იანვრამდე.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებმა უნდა წარადგინოს ბე 200 მანეთი ნაღდ ფულად ან სარგებლიან ქაღალდებით. ეს ფული ქალაქის სასარგებლოდ დარჩება, თუ ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღები ხელშეკრულების დადებაზე უარს იტყვის.

ვაჭრობა მოხდება სიტყვიერად ან დაბეჭდილ განცხადებებით. ვაჭრობა დაიწყება დილის 12 საათზე და გასტანს ნაშუადღევის 2 საათამდე. პირობების გაცნობა შეიძლება ყოველდღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე.

(3—ნ.—1)

СѢДЕЛЬН,
СПЕЦІЯЛЬ
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдл
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176— 2

ახალი საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული"
სურათებით
გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის
თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.
წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.
ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.
რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.
ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ." კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.
(9—შ.17)
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ"

გამოვიდა და იყიდება
ეგნატე ნინოშვილის
(ინგოროყვა) სრული თხზულება.
წიგნში მოთავსებულია ჯერ არსად დაბეჭდილი ისტორიული რომანი „ხამწუხარო შედეგი", 16 სხვა-და-სხვა მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები, ვრცელი კრიტიკული განხილვა **იმანე გოგმართლისა,** მოკლე ბიოგრაფია, დასაფლავების დღეს წარმოთქმული სიტყვები და სხვა-და-სხვა წერილები ეგ. ნინოშვილის შესახებ და ავტორის სურათით.
მსურველთ შეუძლიან მიმართონ წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში. (10—6 —9)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაზნასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—შელანიასი	—	2
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
იოველის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაუცნება, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	30
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	2
ხენთი რაფვისა, თარგ. სომხურიდან ბ. ძვანკულოვისა	1	

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს.-ძე რიჟინაშვილი
პუშკინის ქუჩა, № 10, სახლი იაკ. გოკიელოვისა
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ., საღამოს 5—7 საათ. (30—3512—64)

Дозволено цензурою, 8 ноября 1904 г.

სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—ბისა".

Электроп. „Груз. Изд.—Тва".